წინამდებარე **ზოგადი პირობები** წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და ვრცელდება **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის ნებისმიერ ურთიერთობაზე, რომელიც დაკავშირებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებასთან.
განახლების თარიღი: ოქტომბერი 2024

1. **განმარტებები**

საშუამავლო მომსახურების საფასური	ნიშნავს **პარტნიორის** მიერ **ბოლტისთვის** გადასახდელ საფასურს **პარტნიორის საქონლის** გაყიდვის ყოველ გარიგებაზე **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით, რომელსაც **პარტნიორი** იხდის **ბოლტის** მიერ გაწეული საშუამავლო მომსახურებისთვის.
შეთანხმებული პროცენტი	არის მხარეთა შორის შეთანხმებული პროცენტი, რომელიც წარმოადგენს **წარმომადგენლობითი მომსახურების საფასურის** გაანგარიშების საფუძველს.
ხელშეკრულება	ნიშნავს **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის შეთანხმებას, რომელიც შედგება **სპეციალური პირობებისგან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წინამდებარე **ზოგადი პირობებისგან,** რომელიც ძალაში შევა მხარეების მიერ **სპეციალურ პირობებზე** ხელმოწერის ან ფორმის წარდგენის საფუძველზე და **პარტნიორის** მიერ **ზოგადი პირობების** მიღებით ფორმის წარდგენის გზით და **ბოლტისგან** იმის დადასტურებით, რომ მან მიიღო აღნიშნული ფორმა.
ბოლტი	ნიშნავს **„ბოლტ ოფერეიშენს ოუ“-ს** (Bolt Operations OÜ), რეგისტრაციის კოდი: 14532901, მისამართი: ვანა-ლოუნას ქ. 15 (Vana-Lõuna 15), ტალინი 10134, ესტონეთი.
ბოლტის ბიზნეს მომხმარებელი	ნიშნავს პირს ან ორგანიზაციას, რომელიც მოქმედებს თავისი კომერციული და/ან პროფესიული უფლება-უნარიანობის ფარგლებში, და რომელიც ადმინისტრირებას უკეთებს და იხდის მისი ავტორიზებული **მომხმარებლების** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენების საფასურს.
ბოლტის ბიზნეს ფუნქცია	ნიშნავს გადახდის მეთოდს და **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მახასიათებელს, რომლის მეშვეობითაც **ბოლტის ბიზნეს მომხმარებლის** პროფილზე ავტორიზებული მომხმარებლის სტატუსის მქონე პირებს შეუძლიათ განათავსონ **შეკვეთები ბოლტის ბიზნეს მომხმარებლის** ბარჯზე.
ბოლტ ფუდის პლატფორმა	ნიშნავს მიწოდების პლატფორმას, რომელსაც ინფორმაციული საზოგადოებრივი სერვისის

	ფარგლებში ოპერირებას უწევს **ბოლტი** და რომელიც (i) საშუალებას აძლევს **პარტნიორებს** მოახდინონ **საქონლის** განთავსება მიწოდების ოფციით და დადონ **გაყიდვების ხელშეკრულებები საქონლის კლიენტებისთვის** მიყიდვის მიზნით, (ii) საშუალებას აძლევს **მომხმარებლებს** განათავსონ **საქონლის შეკვეთები პარტნიორთან,** დადონ **გაყიდვების ხელშეკრულებები**, როგორც **კლიენტებმა** და შესაძლებელს ხდის **მიწოდების პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიწოდებას, და (iii) **მიწოდების პარტნიორს** აძლევს შესაძლებლობას **კლიენტებს** შესთავაზოს მიტანის სერვისები **შეკვეთის** მიწოდების მიზნით**.**
კლიენტი	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ნებისმიერ მომხმარებელს, რომელმაც განათავსა **შეკვეთა** და გააფორმა **გაყიდვის ხელშეკრულება პარტნიორთან** და **მიწოდების ხელშეკრულება მიწოდების პარტნიორთან** (ასეთის არსებობის შემთხვევაში). **ბოლტის ბიზნეს მომხმარებელს** აქვს იგივე უფლებები, რაც **კლიენტს** აქვს წინამდებარე **ზოგადი პირობების** შესაბამისად შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: i) **შეკვეთის** შესახებ ინვოისი ან ქვითარი გაიცემა **ბოლტის ბიზნეს მომხმარებელზე**, თანხის დაბრუნების ჩათვლით *(სადაც ასეთი ხორციელდება)* და ii) **ბოლტის ბიზნეს მომხმარებელს** შეუძლია წარადგინოს პრეტენზიები და მოითხოვოს ინფორმაცია **ბოლტის ბიზნეს ფუნქციის** მეშვეობით შესრულებულ **შეკვეთასთან** დაკავშირებით.
კონფიდენციალური ინფორმაცია	ნიშნავს ნოუ-ჰაუს, სავაჭრო საიდუმლოებას და კონფიდენციალური ხასიათის სხვა ინფორმაციას, რომელსაც ერთი მხარე აწვდის მეორე მხარეს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ყველა საკუთრების უფლებით დაცული ტექნიკური, სამრეწველო და კომერციული ინფორმაცია, მომხმარებლებისა და მომწოდებლების მონაცემები და ტექნიკა ნებისმიერი ფორმით). ასევე ნებისმიერი ინფორმაცია: (i) ბიზნესთან დაკავშირებით; და (ii) **ხელშეკრულების** შინაარსი.
მიწოდების ხელშეკრულება	ნიშნავს **კლიენტსა** და **მიწოდების პარტნიორს** შორის **კლიენტის** მიერ შეკვეთილი **საქონლის** მიწოდების შესახებ შეთანხმებას, რომელიც დადებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით.

მიწოდების საფასური	ნიშნავს **შეკვეთასთან** დაკავშირებული მიწოდების მომსახურების საფასურს, რომელსაც **კლიენტი** უხდის **პარტნიორს მიწოდების ხელშეკრულების** საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორს** სურს შესთავაზოს **კლიენტს** საკუთარი მიწოდების სერვისი.
მიწოდების პარტნიორი	ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, რომელიც რეგისტრირებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**, როგორც **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით შეკვეთილი **საქონლის** მიწოდების სერვისის პროვაიდერი.
მიწოდების პარტნიორის წესები და პირობები	ნიშნავს წესებსა და პირობებს, რომელიც მოქმედებს **ბოლტსა** და **მიწოდების პარტნიორს** შორის, **მიწოდების პარტნიორის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებასთან დაკავშირებით.
მიტანის ადგილი	ნიშნავს **შეკვეთაში** მითითებულ მისამართს, სადაც **კლიენტს** სურს მიიღოს შეკვეთილი **საქონელი.**
ზოგადი პირობები	ნიშნავს წინამდებარე პირობებსა და წესებს, რომლებიც გამოიყენება ხელშეკრულების მიმართ და ზოგადად, **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, **პარტნიორის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებასთან დაკავშირებით.
საქონელი	ნიშნავს ნებისმიერ საქონელს, რომელსაც **პარტნიორი** ყიდის **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით.
საქონლის ღირებულება	ნიშნავს ღირებულებას (რომელიც მოიცავს დამატებითი ღირებულების გადასახადს), რომელიც **კლიენტმა** უნდა გადაუხადოს **პარტნიორს** შეკვეთილი **საქონლისთვის.**
ვირტუალური ბაზარი	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მოწყობას და ფუნქციებს, რომლებიც ხელს უწყობს **მიწოდების პარტნიორების** მიერ შეთავაზებული მიტანის სერვისების გამოყენებას.
ვირტუალური ბაზრის საფასური	ნიშნავს ყველა ისეთ მომსახურების საფასურს და ხარჯს, რომელიც **ბოლტმა** შეიძლება დააწესოს 6.2 ნაწილის მიხედვით, **ვირტუალური ბაზრის** ხარჯებისა და **მიწოდების პარტნიორების** ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
მინიმალური შეკვეთის ღირებულება	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიერ განსაზღვრულ თანხას, რომელიც მიუთითებს მინიმალურად შესაკვეთი **საქონლის ფასზე,** რომელზედაც არ ვრცელდება **მცირე შეკვეთის საფასური.**

სამუშაო საათები	ნიშნავს დღის მთელ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც **პარტნიორი** იღებს **შეკვეთებს** და ამზადებს **საქონელს მიწოდების პარტნიორის** ან უშუალოდ **კლიენტის** მიერ მიერ გატანის მიზნით (**ბოლტ ფუდის პლატფორმაში** მითითებული **სამუშაო საათები** შეიძლება განსხვავდებოდეს **პარტნიორის** დაწესებულების სამუშაო საათებისგან).
შეკვეთა	ნიშნავს **საქონლის** შეკვეთას, რომელიც **კლიენტმა** განათავსა **პარტნიორთან.**
შეკვეთის საფასური	ნიშნავს ფასს, რომელიც **კლიენტმა** უნდა გადაიხადოს **საქონლის** შესაძენად და **შეკვეთის** მიწოდებისთვის *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*.
პარტნიორი	ნიშნავს ნებისმიერი რესტორნის ან მაღაზიის ოპერატორს, რომელთანაც **ბოლტმა** გააფორმა ხელშეკრულება და სადაც ეს შესაბამისია, თითოეულ დაწესებულებას, რომელიც ჩამოთვლილია **სპეციალური პირობების II** ნაწილში, რომლის მეშვეობითაც ოპერატორი ახორციელებს თავის საქმიანობას.
პარტნიორის კონტენტი	ნიშნავს **პარტნიორის** სახელს და სასაქონლო ნიშანს და ყველა მასალას, როგორიცაა **პარტნიორის** მენიუ და ამ **ხელშეკრულებით ბოლტისთვის** მიწოდებული **საქონლის** ფოტოები.
პატნიორის სპეციალური პირობები	ნიშნავს **ზოგადი პირობებისაგან** და დანართებისაგან განსხვავებულ პირობებს, რომელიც მოქმედებს **პარტნიორის** მიმართ, როგორც ეს მოცემულია **სპეციალური პირობების** მე-5 ნაწილში *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*.
გაყიდვის ხელშეკრულება	ნიშნავს **კლიენტსა** და **პარტნიორს** შორის შეთანხმებას **საქონლის** გაყიდვის შესახებ, **შეკვეთის** შესაბამისად.
მომსახურების ღირებულება	ნიშნავს ღირებულებას, რომელსაც **პარტნიორი** იხდის 6.4 პუნქტის შესაბამისად.
მცირე შეკვეთის საფასური	ნიშნავს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიერ განსაზღვრულ საფასურს, რომელსაც **კლიენტი** უხდის **პარტნიორს** და რომელიც მოქმედებს იმ **შეკვეთების** მიმართ, რომლებიც არ ხვდება **მინიმალური შეკვეთის ღირებულების** ფარგლებში, 6.6 ნაწილის შესაბამისად.
სპეციალური პირობები	ნიშნავს სპეციალურ პირობებს, რომელთა გათვალისწინებითაც იდება **ხელშეკრულება** *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*.
მომხმარებელი	ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელმაც

	დაარეგისტრირა მომხმარებლის ანგარიში **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** და იყენებს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მომსახურებებს ამ მომხმარებლის ანგარიშის მეშვეობით.

1.
2. **სამართლებრივი ჩარჩო**
3.
    1. **ბოლტ ფუდის პლატფორმა** საშუალებას აძლევს **პარტნიორს** განათავსოს საკუთარი **საქონელი კლიენტის** მიერ შეკვეთის მიზნით, რომლის მიწოდება **კლიენტისათვის** მოხდება **მიწოდების პარტნიორის** მიერ ან თავად **კლიენტის** მიერ თვით-გატანის მეშვეობით.
    2. **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით **საქონლის** გაყიდვისთვის, **გაყიდვის ხელშეკრულება** იდება უშუალოდ **კლიენტსა** და **პარტნიორს** შორის. **შეკვეთის მიწოდებისთვის**, **კლიენტი** დებს **მიწოდების ხელშეკრულებას** უშუალოდ **მიწოდების პარტნიორთან.** იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტს** სურს **შეკვეთის** მიწოდება **მიწოდების პარტნიორის** მიერ, **გაყიდვის ხელშეკრულება** ითვლება დადებულად **პარტნიორისა** და **მიწოდების პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიღებისა და **კლიენტისთვის შეკვეთის** დადასტურების გაგზავნის მომენტიდან. **კლიენტის** მიერ **შეკვეთის** თავად **კლიენტის** მიერ გატანის შემთხვევაში, **გაყიდვის ხელშეკრულება** დადებულად ითვლება **პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიღებისა და **კლიენტისთვის შეკვეთის** დადასტურების გაგზავნის მომენტიდან. **გაყიდვის ხელშეკრულების** დადება ხდება ოფერტისა და აქცეპტის მოდელზე დაყრდნობით, **კლიენტის შეკვეთის** საფუძველზე, ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. **პარტნიორი** პასუხს აგებს **საქონელზე** (და საქონლის წარმოებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში) **გაყიდვის ხელშეკრულების** შესაბამისად და **მიწოდების პატრნიორი** პასუხს აგებს **შეკვეთის** მიწოდებაზე **მიწოდების ხელშეკრულების** საფუძველზე.
    3. **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ოპერირებისას, **ბოლტი** მოქმედებს მხოლოდ როგორც ინფორმაციული საზოგადოებრივი სერვისის მიმწოდებელი და არ არის **გაყიდვის ხელშეკრულების** ან **მიწოდების ხელშეკრულების** მხარე. **ბოლტი** არ არის **საქონლის** მწარმოებელი ან გამყიდველი ან მიწოდების სერვისების მიმწოდებელი და არც ერთი ფორმით არ არის პასუხისმგებელი **გაყიდვის ხელშეკრულების** ან **მიწოდების ხელშეკრულების** შესრულებაზე.
    4. **პარტნიორი,** წინამდებარით, უფლებას აძლევს **ბოლტს,** იმოქმედოს როგორც **პარტნიორის** კომერციულმა აგენტმა ნებისმიერ **გაყიდვის ხელშეკრულებასთან** და **მიწოდების ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*. **პარტნიორი** ანიჭებს **ბოლტს** უფლებას მოლაპარაკება აწარმოოს **კლიენტთან გაყიდვის ხელშეკრულებასთან** და (სადაც შესაძლებელია 2.5 პუნქტის შესაბამისად) **მიწოდების ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება უფლებით ამოიღოს **საქონლის ღირებულება**, **მიწოდების საფასური** *(ასეთის არსებობის შემთხვევაში)* ან **კლიენტის** ან **ბოლტის ბიზნეს კლიენტის** მიერ **პარტნიორისათვის გაყიდვის ხელშეკრულების** და (სადაც ეს შესაძლებელია 2.5 პუნქტის შესაბამისად) **მიწოდების ხელშეკრულების** საფუძველზე გადასახდელი სხვა გადასახადები, და მოახდინოს შესაბამისი თანხების გაგზავნა **პარტნიორისთვის** წინამდებარე **ხელშეკრულების** შესაბამისად. **პარტნიორი** აცნობიერებს, რომ **კლიენტის** მხრიდან გადახდის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს **გაყიდვის ხელშეკრულებიდან** და (სადაც შესაძლებელია) **მიწოდების ხელშეკრულებიდან,**

ითვლება შესრულებულად, როდესაც გადახდა ჩაირიცხება **ბოლტის** საბანკო ანგარიშზე ან, თუ ასეთი მოხდება, როდესაც **კლიენტმა საქონლის ღირებულება** სრულად გადაუხადა **მიწოდების პარტნიორს** ნაღდი ანგარიშსწორების გზით **შეკვეთის** მიტანისას ან როდესაც **კლიენტმა** გადაიხადა **საქონლის ღირებულება** სრულად პირდაპირ **პარტნიორთან პარტნიორის** დაწესებულებაში.

5. იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორს** სურს შესთავაზოს **კლიენტს** საკუთარი მიწოდების სერვისები **საქონლის** მიწოდების მიზნით, **კლიენტი** დებს **მიწოდების ხელშეკრულებას** უშუალოდ **პარტნიორთან** და წინამდებარე **ზოგადი პირობების** შესაბამისად **მიწოდების პარტნიორებისადმი** დადგენილი პირობები **მიწოდების ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით გავრცელდება **პარტნიორზე. პარტნიორი** უნდა დაესწროს და, საჭიროების შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს, რომ მისი თანამშრომლები და/ან კონტრაქტორები დაესწრონ ტრენინგ(ებ)ს, გაიარონ შესაბამისი გამოცდა(ები) და შეინარჩუნონ ყველა ლიცენზია, ნებართვა, რეგისტრაცია და თანხმობა, რომელიც საჭიროა მომსახურების კანონიერი მიწოდებისთვის **მიწოდების ხელშეკრულებების** შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობით. გარდა ამისა, **პარტნიორი** საკვების ყოველი მიწოდების წინ უნდა დარწმუნდეს, რომ თერმოჩანთა არის სუფთა და მოწესრიგებული და გამოყენებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საკვებისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება და თავიდან აიცილოს საკვების დაბინძურება.

4. **შეკვეთის განთავსება**
5.

    1. როდესაც **კლიენტი** განათავსებს **შეკვეთას, პარტნიორი** უზრუნველყოფს, რომ **შეკვეთის** დადასტურება მოხდეს დანართ 1-ში მოცემულ პერიოდში (მომსახურების დონის მოთხოვნები).
    2. იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორს** არ შეუძლია მიაწოდოს **საქონელი შეკვეთის** შესაბამისად, პარტნიორმა არ უნდა დაადასტუროს **შეკვეთა ბოლტ ფუდის პლატფორმაში,** გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩართულია ავტომატური მიღების ფუნქცია, რა შემთხვევაშიც უნდა მოხდეს დანართი 1-ით (მომსახურების დონის მოთხოვნები) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვა ამ **ზოგადი პირობების** შესაბამისად.
    3. **პარტნიორი** ვალდებულია უზრუნველყოს **შეკვეთების** მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში **პარტნიორის** დაწესებულების **სამუშაო საათებში**, დანართი 1-ის მოთხოვნების შესაბამისად.

6. **შეკვეთის შესრულება**
7.

    1. **პარტნიორი** მზად უნდა იყოს დაიწყოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით მომსახურების მიწოდება **ხელშეკრულების** ხელმოწერის მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებს შორის სხვაგვარად არის შეთანხმებული. **შეკვეთების** დამუშავების დეტალური მოთხოვნები და ინსტრუქციები მოცემულია წინამდებარე **ზოგადი პირობების** დანართ 1-ში (მომსახურების დონის მოთხოვნები).
    2. **პარტნიორი** გამოიყენებს მაქსიმალურ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს ყველა **საქონლის** ხელმისაწვდომობა, რომელიც ნაჩვენებია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.** იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორის** მხრიდან შეუძლებელია ან სავარაუდოდ **პარტნიორი** ვერ შეძლებს **შეკვეთების** შესრულებას, **პარტნიორი** შეწყვეტს შემდგომი **შეკვეთების** მიღებას და გააკეთებს აღნიშვნას სერვისის მიუწვდომლობის შესახებ **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მანამ, სანამ არ დადგება **შეკვეთების** შესრულების მზადყოფნის შესაძლებლობა.
    3. **პარტნიორმა** უნდა უზრუნველყოს, რომ **კლიენტისთვის** მისაწოდებელი და/ან

კლიენტის მიერ წასაღებად მომზადებული **საქონელი** შეესაბამებოდეს **კლიენტის** მიერ განთავსებულ **შეკვეთას. პარტნიორმა** მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ძალისხმევა, რომ შეასრულოს **კლიენტის** კონკრეტული ინსტრუქციები და მოთხოვნები, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

4. **შეკვეთა** მზად უნდა იყოს **მიწოდების პარტნიორის** ან **კლიენტის** მიერ გატანისთვის დანართ 1-ში მითითებულ ვადებში (მომსახურების დონის მოთხოვნები). **პარტნიორს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს აირჩიოს და უარი თქვას თვით-გატანის ფუნქციაზე (ანუ **კლიენტის** მიერ თვით-გატანის ოფციაზე). **პარტნიორი** უნდა დარწმუნდეს, რომ **მიწოდების პარტნიორმა** სწორი **შეკვეთა** აიღო გასატანად. იმ შემთხვევაში, თუ **მიწოდების პარტნიორი** გაიტანს არასწორ **შეკვეთას, ბოლტს** შეუძლია **შეკვეთის საფასური** ჩამოაკლოს **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის განსახორციელებელი ყოველკვირეული გადახდიდან.
5. **პარტნიორი** უზრუნველყოფს, რომ **შეკვეთილი საქონელი** სათანადოდ იყოს შეფუთული (მათ შორის, სურსათის უსაფრთხოების ყველა მოთხოვნის შესაბამისად, თუ **საქონელი** შეიცავს საკვებს), იმის გათვალისწინებით, რომ **მიწოდების პარტნიორს** ან **კლიენტს** მოეთხოვება მხოლოდ შეფუთული **შეკვეთის** აღება. იმ შემთხვევაში, თუ **საქონელი** შეიცავს საკვებს, **მიწოდების პარტნიორს** ასევე მოეთხოვება მისი მოთავსება თერმოჩანთაში. შეფუთვაში არ შეიძლება იყოს **ბოლტის** კონკურენტების ლოგოები. შეფუთვა არ შეიძლება შეიცავდეს მესამე მხარის (მათ შორის **ბოლტის** კონკურენტების) სარეკლამო მასალას, თუ **პარტნიორის სპეციალურ პირობებში** სხვაგვარად არ არის შეთანხმებული.
6. **პარტნიორი** უზრუნველყოფს, რომ **მიწოდების პარტნიორის** მიერ გასატანად და/ან **კლიენტის** მიერ თვით-გატანისათვის მომზადებული **საქონელი:**
7.
    1. შეესაბამებოდეს **საქონლის** აღწერას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** (იმ შემთხვევაში, თუ საქონელი შეიცავს საკვებს, მათ შორის, შეიცავდეს მითითებებს, რომ კონკრეტული **საქონელი** არ შეიცავს გლუტენს ან თხილს ან შესაფერისია ვეგეტარიანელებისთვის ან ვეგანებისთვის);
    2. არ იყოს საზიანო ჯანმრთელობისთვის ან გარემოსთვის;
    3. არ იყოს უკანონო მოქმედი კანონმდებლობით ან სხვაგვარად ეწინააღმდეგებოდეს **ზოგად პირობებს;**
    4. იყოს სათანადოდ მოხარშული ან მომზადებული და სხვაგვარად უსაფრთხო, მაღალი ხარისხის, ტრანსპორტირებისა და მოხმარებისთვის ვარგისი და **კლიენტის** მიერ მოხმარების მიზნებისთვის იყოს შესაბამისი ტემპერატურის, თუ საქონელი შეიცავს საკვებს;
    5. იყოს შესაბამისობაში მომზადების/წარმოების და შეფუთვის ყველა მოქმედ მოთხოვნასთან (მათ შორის, რაც გონივრულად არის საჭირო მიწოდების პროცესის გაძლებისთვის);
    6. მაქსიმალურად შეესაბამება **ბოლტ ფუდის პლატფორმაში** ატვირთულ ფოტოებს.
8. **პარტნიორმა** დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს **ბოლტს,** თუ **პარტნიორი** გაიგებს, რომ **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** რაიმე უკანონო საქონელია განთავსებული.
9. **ბოლტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეამოწმოს **პარტნიორის** მიერ მომსახურების გაწევის პროცესი.
10. **ბოლტს** უფლება აქვს ცალმხრივად გააუქმოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით განთავსებული **შეკვეთა:**
11.
    1. თუ **კლიენტმა** მოითხოვა **შეკვეთის** გაუქმება იქამდე, სანამ **პარტნიორი**

დაადასტურებს **შეკვეთას.** ასეთ შემთხვევებში **პარტნიორს** არ აქვს მე-6 ნაწილის მიხედვით რაიმე გადასახადის მოთხოვნის უფლება;

2. მომზადების თაობაზე **პარტნიორისთვის** შეტყობინების გაგზავნამდე. ასეთ შემთხვევებში, **პარტნიორს** არ აქვს მე-6 ნაწილის მიხედვით რაიმე გადასახადის მოთხოვნის უფლება;
3. თუ **კლიენტმა** მოითხოვა **შეკვეთის** გაუქმება, სანამ **პარტნიორი** შეკვეთის მომზადებას დაიწყებდა. ასეთ შემთხვევებში **პარტნიორს** არ აქვს მე-6 ნაწილის მიხედვით რაიმე გადასახადის მოთხოვნის უფლება;
4. თუ **კლიენტმა** მოითხოვა **შეკვეთის** გაუქმება მას შემდეგ, რაც **პარტნიორმა** დაიწყო **შეკვეთის** მომზადება და **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიხედვით **შეკვეთის** მიწოდების სავარაუდო დროი ჯერ არ დამდგარა. ასეთ შემთხვევებში **პარტნიორს** უფლება აქვს საფასურის მოთხოვნაზე **ზოგადი პირობების** მე-6 ნაწილის მიხედვით, გარდა **საქონლისა,** რომელიც არ საჭიროებს **პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიხედვით მომზადებას (მაგ. დაკონსერვებული ან ჩამოსხმული სასმელები, საცალო პროდუქტები);
5. თუ **კლიენტმა** მოითხოვა **შეკვეთის** გაუქმება მას შემდეგ, რაც **პარტნიორმა** დაიწყო შეკვეთის მომზადება და მას შემდეგ, რაც **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიხედვით მითითებულმა **შეკვეთის** მიწოდების სავარაუდო დრომ გადააჭარბა აღნიშნულს. თუ მიწოდების სავარაუდო დროის გადაჭარბება გამოწვეულია **პარტნიორის** შეცდომით, **პარტნიორს** არ აქვს უფლება მიიღოს რაიმე საფასური **ზოგადი პირობების** მე-6 ნაწილის მიხედვით. ასეთ შემთხვევებში **ბოლტს** უფლება აქვს დააკისროს **პარტნიორს** მიწოდების საფასური; ან
6. **შეკვეთის** გატანამდე. ასეთ შემთხვევებში **პარტნიორს** უფლება აქვს საფასურის მოთხოვნაზე **ზოგადი პირობების** მე-6 ნაწილის მიხედვით, გარდა **საქონლისა,** რომელიც არ საჭიროებს **პარტნიორის** მიერ **შეკვეთის** მიხედვით მომზადებას (მაგ. დაკონსერვებული ან ჩამოსხმული სასმელები, საცალო პროდუქტები);

12. **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მითითებული **საქონლის ფასები** არ შეიძლება იყოს **პარტნიორის** დაწესებულებაში არსებულ ფასზე ძვირი, გარდა (i) აქციების შემთხვევებისა, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ **პარტნიორის** დაწესებულებაში; (ii) თუ სხვაგვარად არის შეთანხმებული **პარტნიორის სპეციალურ პირობებში.**
13. იმ შემთხვევაში, თუ მიტანის სერვისს ახორციელებს **პარტნიორი, პარტნიორი** იძლევა გარანტიას, რომ მიწოდების სერვისის მიწოდების დროს იგი ასრულებს და შესაბამის შემთხვევაში, მისი თანამშრომლები და/ან კონტრაქტორები, რომლებიც ახორციელებენ მიტანის სერვისს **პარტნიორის** სახელით, იცავენ **კლიენტისთვის** მიტანის სერვისის მიწოდებაზე მოქმედ ყველა შესაბამის კანონსა და რეგულაციას.

8. **პარტნიორის მიერ ბოლტ ფუდის პლატფორმის გამოყენება**
9.

1. **პარტნიორი** მიიღებს წვდომას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მომხმარებლის ანგარიშის მეშვეობით. თითოეულ **პარტნიორს** უფლება აქვს ჰქონდეს მხოლოდ ერთი ანგარიში **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** გამოსაყენებლად. თუ **პარტნიორი** ახორციელებს თავის ბიზნესს რამდენიმე დაწესებულების მეშვეობით, თითოეულ დაწესებულებას ეძლევა ცალკე ქვეანგარიში **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოსაყენებლად. **პარტნიორის** (და საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებების) ანგარიშის დეტალები **პარტნიორს** ცალკე ეცნობება.
2. **პარტნიორი** ვალდებულია უზრუნველყოს მოქმედი კანონების დაცვა მისი მომსახურების მიწოდებისას, მათ შორის, დაიცვას კანონები სამუშაო პირობებთან, თანამშრომლების და **პარტნიორის** პერსონალის სხვა წევრების დაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

3. **პარტნიორთან, პარტნიორის** დაწესებულებებთან და მათ მენიუსთან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია ატვირთულია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე პარტნიორის** მიერ წინამდებარე **ზოგადი პირობების** 5.10 ნაწილის შესაბამისად, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული **ბოლტთან.** მხოლოდ **პარტნიორი** არის პასუხისმგებელი ინფორმაციაზე (მათ შორის, საქონლის ფასები და ფასების შემცირების მითითება), რომელიც ატვირთულია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** თავად **პარტნიორის** ან, რიგ შემთხვევაში, **ბოლტის** მიერ. თუ **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** ატვირთული ინფორმაცია არასწორია, **პარტნიორი** ვალდებულია თავად შეცვალოს ეს ინფორმაცია წინამდებარე **ზოგადი პირობების** 5.10 ნაწილის შესაბამისად, ან, გარემოების შესაბამისად, აცნობოს **ბოლტს** შეუსაბამობების შესახებ, რათა **ბოლტმა** შეცვალოს არასწორი ინფორმაცია. **პარტნიორი** ასევე ვალდებულია **ბოლტს** მიაწოდოს ყველა მონაცემი საკვების შესახებ, რომელიც სავალდებულოა ადგილობრივი კანონმდებლობით. **პარტნიორის** მიერ მოწოდებული ყველა ინფორმაცია, მათ შორის, კერძოდ, ინფორმაცია პარტნიორის საქონლისა და საქონლის ფასებსა და გახსნის საათებთან დაკავშირებით, უნდა იყოს ზუსტი. **პარტნიორმა** ასევე უნდა მიაწოდოს დამატებითი ინფორმაცია **საქონელთან** დაკავშირებით (ინგრედიენტები და ალერგენები იმ შემთხვევაში, თუ საქონელი შეიცავს საკვებს და ა.შ.), თუ **კლიენტი** ამას მოითხოვს **პარტნიორთან** დაკავშირების გზით.
4. **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით **შეკვეთების** მიღებისა და დამუშავებისთვის, **პარტნიორმა** უნდა შეიძინოს მოწყობილობა დამოუკიდებლად, ან იყიდოს/დაიქირავოს მოწყობილობა **ბოლტისგან. ბოლტმა** შესაძლოა **პარტნიორისგან** მოითხოვოს დეპოზიტი ნაქირავები მოწყობილობისთვის. **პარტნიორი** იღებს ვალდებულებას, რომ ყველა დაქირავებული მოწყობილობა და მასთან დაკავშირებული აღჭურვილობა შენარჩუნდება კარგ მდგომარეობაში. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემდეგ, ყველა დაქირავებული მოწყობილობა და ნებისმიერი სხვა მოწყობილობა, რომელიც მოწოდებულია **ბოლტის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოსაყენებლად, დაუბრუნდება **ბოლტს** კარგ მდგომარეობაში, ნორმალური გამოყენებისა და ცვეთის გათვალისწინებით. **ბოლტმა** შეიძლება დააწესოს ინსტრუქციები მოწყობილობების დაბრუნების შესახებ. თუ **პარტნიორი** ვერ დააბრუნებს დაქირავებულ მოწყობილობებს და სხვა აღჭურვილობას, **ბოლტს** შეუძლია დააწესოს სახელშეკრულებო ჯარიმა მოწყობილობის ღირებულების ექვივალენტური ოდენობით ან დაიტოვოს დეპოზიტი, თუ დეპოზიტი იქნა გამოყენებული. საჭიროების შემთხვევაში, **ბოლტი** და **პარტნიორი** შეთანხმდებიან დაქირავებული მოწყობილობების მოვლა-პატრონობაზე ან შეცვლაზე.
5. **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი და არ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს უწყვეტი ტექნიკური მხარდაჭერა **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ეფექტური ფუნქციონირებისთვის ნებისმიერ მოწყობილობაზე (მათ შორის, ნებისმიერ ოპერაციულ სისტემაზე). **პარტნიორი** იღებს ვალდებულებას დააინსტალიროს და/ან გამოიყენოს **ბოლტის** მიერ მოწოდებული ყველა განახლება, გაუმჯობესება ან მოდული. **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე ან მოგების დაკარგვაზე, რომელიც გამოწვეულია ამ წინამდებარე 5.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო.
6. **პარტნიორმა** ყოველთვის უნდა გამოიყენოს კარგი ინდუსტრიული პრაქტიკა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინდუსტრიაში მსგავს სერვისებთან მიმართებაში, რათა თავიდან აიცილოს ვირუსების დანერგვა **ბოლტ ფუდის პლატფორმაში.** თუ **პარტნიორი** არღვევს აღნიშნულ ვალდებულებას და აღმოჩნდება, რომ ვირუსი შეყვანილია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე პარტნიორის** მიერ **ზოგადი პირობების** დარღვევის შედეგად, მაშინ **პარტნიორი** (საკუთარი ხარჯებით) უზრუნველყოფს

გონივრულ დახმარებას ვირუსისგან მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით და აუნაზღაურებს **ბოლტს** ყველა ზიანს, რომელიც დადგა **ბოლტ ფუდის პლატფორმისთვის** მიყენებული ზიანის აღმოფხვრისა და გამოსწორებისთვის.

7. **კლიენტს** შეუძლია დატოვოს გამოხმაურება და შეიტანოს საჩივრები **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით. თუ საჩივარი ეხება კონკრეტულ საქონელს, **კლიენტს** მოეთხოვება ასეთი საჩივრების წარდგენა შეკვეთის მიწოდებიდან 30 დღის განმავლობაში. **ბოლტმა** უნდა განიხილოს საჩივრები საკუთარი შეხედულებისამებრ და გადაწყვიტოს, როგორ მოაგვაროს ისინი. **ბოლტს,** გონივრული მოქმედების ფარგლებში, შეუძლია **კლიენტს** დაუბრუნოს **საქონლის ფასი** (ან მისი ნაწილი) საკუთარი შეხედულებისამებრ და მოითხოვოს კომპენსაცია **პარტნიორისგან.** თუ **პარტნიორის** მიმართ გაგრძელდება საჩივრების წარდგენა **კლიენტების** მხრიდან, **ბოლტს** უფლება აქვს დროებით შეუჩეროს **პარტნიორს ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენების უფლება ან შეწყვიტოს **ხელშეკრულება. ბოლტს** უფლება აქვს ჩამოაყალიბოს მომხმარებელთა საჩივრებისა და თანხის დაბრუნების პოლიტიკა, რომელიც უნდა იყოს **ზოგადი პირობების** ნაწილი და სავალდებულოა **პარტნიორისთვის** შესასრულებლად.
8. **პარტნიორმა** ყოველთვის უნდა გამოიყენოს მაღალი ხარისხის და მაღალი გარჩევადობის ფოტოები **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე საქონლის** პრეზენტაციისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ფოტოები არ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ მოთხოვნებს, **ბოლტი** იტოვებს უფლებას უარი თქვას მოწოდებული ფოტოების ატვირთვაზე **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** და მოითხოვოს ჩანაცვლება ან ატვირთოს ექვივალენტი ან მსგავსი სურათები საკუთარი შეხედულებისამებრ.
9. **ბოლტი** უფლებამოსილია შეცვალოს, მოდიფიცირება გაუკეთოს ან დროებით ან სამუდამოდ შეწყვიტოს ინფორმაციული საზოგადოების სერვისის მიწოდება მთლიანად ან ნაწილობრივ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ზოგიერთი ფუნქციის შემოღებით ან/და შეწყვეტით, ასევე **ბოლტ ფუდის პლატფორმის** სხვა გზით შეცვლით ან წაშლით ნებისმიერ დროს. **ბოლტი** აცნობებს **პარტნიორებს** თავის გადაწყვეტილებებს, ფუნციონალების შეწყვეტასთან დაკავშირებით.
10. როგორც **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ნაწილი, **ბოლტმა** თავისი შეხედულებისამებრ შეიძლება მისცეს და შესაბამისად, გააუქმოს კიდეც **პარტნიორის** პირდაპირი წვდომა ეგრეთწოდებულ პარტნიორთა პორტალზე, რომელიც საშუალებას აძლევს **პარტნიორს** განათავსოს, ცვლილებები შეიტანოს და სხვაგვარად მოახდინოს კონტენტის მოდიფიცირება **ბოლტის** მიერ **პარტნიორისთვის** გამოყოფილ განყოფილებაში **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე**.
11.
    1. **პარტნიორი** წინამდებარით აცხადებს, რომ მხოლოდ ის არის პასუხისმგებელი მისი წარმომადგენლებისთვის **პარტნიორის** სახელით ე.წ. პარტნიორების პორტალზე წვდომის უფლებების მინიჭებაზე, შეცვლაზე, კონტროლსა და/ან უფლების გაუქმებაზე;
    2. **პარტნიორი** ადასტურებს, რომ **პარტნიორის** სახელით პარტნიორების პორტალზე თავისი წარმომადგენლისთვის წვდომის მიცემით თავის წარმომადგენელს ანიჭებს წვდომის უფლებას, შეცვალოს **პარტნიორის** პრეფერენციები და მენიუები (საქონლის ფასების ჩათვლით), მოახდინოს კამპანიების კონფიგურაცია და სპეციალური შეთავაზებები, ნახოს **შეკვეთები** (შეკვეთების ისტორიის ჩათვლით), მისცეს სხვა მომხმარებლებს წვდომა და/ან პარტნიორების პორტალზე სხვა ქმედებების განხორციელების უფლება;
    3. **პარტნიორი** აცხადებს, რომ იგი სრულად არის პასუხისმგებელი და ვალდებულია ნებისმიერი შესწორებისთვის, განახლებისა ან ნებისმიერი სხვა

ცვლილებისთვის (ფასის ჩათვლით), რომელსაც მისი რომელიმე წარმომადგენელი, რომელსაც **პარტნიორმა** მიანიჭა წვდომის უფლება, განახორციელებს პარტნიორის კონტენტზე პარტნიორისთვის გამოყოფილ განყოფილებაში ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.

10. **საფასური**
11.

1. **ბოლტის** მხრიდან **გაყიდვის ხელშეკრულებებთან** დაკავშირებით გაწეული საშუამავლო მომსახურებისთვის, **პარტნიორი** გადაუხდის **ბოლტს შუამავლობის საფასურს ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით **კლიენტის** მიერ განხორციელებული ყოველი **შეკვეთისთვის. შუამავლობის საფასური** გამოითვლება, როგორც **შეთანხმებული პროცენტი საქონლის** აგრეგირებული **სრული ფასიდან**, რომელიც გამომუშავებულია **პარტნიორის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით განთავსებული **შეკვეთებიდან** კონკრეტული დროის პერიოდში.
2. **ბოლტს** შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, დროდადრო შეცვალოს **შუამავლობის საფასური პარტნიორისადმი** 30 დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების გზით. თუ **პარტნიორს** არ სურს დაეთანხმოს შეცვლილს **შუამავლობის საფასურს**, მას შეუძლია შეწყვიტოს **ხელშეკრულება ბოლტისთვის** 30 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით და იქამდე, სანამ შეცვლილი **შუამავლობის საფასური** შევა ძალაში. თუ **პარტნიორი** გააგზავნის შეტყობინებას **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ შეცვლილი **შუამავლობის საფასურის** ძალაში შესვლამდე, მასზე არ გავრცელდება შეცვლილი **შუამავლობის საფასურის** მოქმედება, მიუხედავად იმისა, რომ **ხელშეკრულების** შეწყვეტის თარიღი შეიძლება იყოს შეცვლილი **შუამავლობის საფასურის** ძალაში შესვლის თარიღის შემდეგ. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ **პარტნიორი** დაეთანხმა **შუამავლობის საფასურის** შეცვლას.
3. **ბოლტს** უფლება აქვს დააწესოს **ციფრული ბაზრის საფასური** დინამიური ფასების პრინციპების შესაბამისად შემდეგნაირად: (i) გამოიყენოს მომსახურების საკომისიო, რათა დაფაროს მიწოდების სერვისების ციფრულ ბაზარზე ხელმისაწვდომობის ხარჯები, ან (ii) გადააკისროს მიწოდების სერვისების ციფრულ ბაზარზე ხელმისაწვდომობის ხარჯები.
4. **პარტნიორი** ასევე გადაუხდის **ბოლტს მომსახურების საფასურს** მოწყობილობის (თუ გათვალისწინებულია) და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებისთვის. გარდა ამისა, **ბოლტს** შეუძლია **პარტნიორს** დააკისროს საფასური მარკეტინგული კამპანიის განხორციელებისთვის, რაც შეთანხმებული იქნება მხარეებს შორის.
5. ყველა საფასურს ემატება დღგ.
6. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდების მომსახურებას უზრუნველყოფს **პარტნიორი, პარტნიორი** მიიღებს **მიწოდების საფასურს** თითოეული მიწოდებისთვის. თუ **შეკვეთა** ექვემდებარება **მინიმალურ შეკვეთის ღირებულებას, კლიენტი პარტნიორს** აუნაზღაურებს **მცირე შეკვეთის საფასურს.** ყველა საფასური, რომელიც გამომუშავდება **პარტნიორის** თანამშრომლების და/ან კონტრაქტორი პირების მიერ განხორციელებული მიწოდებებისთვის, ჩაირიცხება **პარტნიორის** საბანკო ანგარიშზე, რომელიც გადაუნაწილებს საფასურს თანამშრომლებსა და/ან კონტრაქტორებს მათთან შეთანხმების შესაბამისად.

12. **ინვოისები და გადახდები**
13.

1. **პარტნიორი** იღებს ვალდებულებას გასცეს **კლიენტზე** ვალიდური სალარო აპარატის ქვითრები ან **ბოლტის ბინზეს კლიენტზე** - ინვოისები **საქონლის ღირებულებაზე**, და იმ შემთხვევაში, თუ მიტანის სერვისები უზრუნველყოფილია **პარტნიორის** მიერ,

გასცეს ინვოისები **მიწოდების საფასურისთვის** და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **მცირე შეკვეთის საფასურისთვის.** გაცემული სალარო აპარატის ქვითრები ტრანსპორტირდება ან/და გადაეცემა **კლიენტს საქონელთან** ერთად. **ბოლტს** შეუძლია მოამზადოს და გადასცეს **კლიენტს** საინფორმაციო ქვითარი (ანუ ღირებულების შეჯამება) **საქონლის ფასთან** დაკავშირებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიტანის სერვისები უზრუნველყოფილია **პარტნიორის** მიერ, **მიტანის საფასურსა** და (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **მცირე შეკვეთის საფასურთან** დაკავშირებით **პარტნიორის** სახელით.

2. **ბოლტი** იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს **პარტნიორს საქონლის ღირებულებასთან** დაკავშირებული გადახდები (**შუამავლობის საფასურის** გამოკლებით), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მიტანის სერვისები უზრუნველყოფილია **პარტნიორის** მიერ, **მიწოდების საფასური** და (საჭიროების შემთხვევაში) **მცირე შეკვეთის საფასური,** ყველა დასრულებული და მიწოდებული ან გატანილი შეკვეთისთვის, რომელიც განხორციელებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით საანგარიშო პერიოდისთვის, გარდა შეკვეთებისა, რომლის საფასურიც **მიწოდების პარტნიორმა** ან **კლიენტმა** საქონლის ფასი პირდაპირ გადაუხადა **პარტნიორს** ნაღდი ფულით, რა შემთხვევაშიც **პარტნიორი** იღებს ვალდებულებას გადაურიცხოს **ბოლტს შუამავლობის საფასური** მოცემული საანგარიშო პერიოდისთვის. **ბოლტის** მიერ საჩივრების გამო განხორციელებული ნებისმიერი გამოქვითვა ხორციელდება წინამდებარე **ზოგადი პირობების** 5.7 ნაწილის შესაბამისად.
3. **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის წინამდებარე **ხელშეკრულების** მიხედვით ინვოისის შედგენა და გადახდები განხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **პარტნიორის სპეციალურ პირობებში** სხვაგვარად არის შეთანხმებული, საანგარიშო პერიოდი იქნება ერთი კალენდარული კვირა. თუ შემდგომში საანგარიშო პერიოდთან მიმართებაში რაიმე კორექტირებების საჭიროება წარმოშვა, მხარეები აღნიშნულის თაობაზე აცნობებენ ერთმანეთს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებენ შესაბამის კორექტირებებს მომდევნო საანგარიშო პერიოდში განსახორციელებელი გადახდებიდან.
4. ყოველი საანგარიშო პერიოდის გასვლიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში **ბოლტი პარტნიორს** გაუგზავნის **შუამავლობის საფასურის**, **მომსახურების საფასურის** და მოცემული საანგარიშო პერიოდისთვის მოქმედ ნებისმიერ სხვა მოსაკრებელზე ინვოისს. თუ **ბოლტის** მიერ უნდა განხორციელდეს რაიმე გადახდა **პარტნიორისათვის** საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებით, **პარტნიორი** აღნიშნულზე გაუგზავნის ინვოისს **ბოლტს.**
5. ყველა გადახდა **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის განიხილება ურთიერთგაქვითვის გზით, სადაც ეს მაქსიმალურად შესაძლებელია. ყველა სხვა გადახდები **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის, რომელთა გაქვითვაც შეუძლებელია, განხორციელდება საბანკო გადარიცხვების გზით.
6. **ბოლტს** შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეზღუდოს **საქონლის საფასურის** გადახდა **პარტნიორისთვის** ნაღდი ანგარიშსწორებით მიწოდების **პარტნიორის** მიერ. **ბოლტს** ასევე შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ, მოსთხოვოს **პარტნიორს** დეპოზიტის წარდგენა **ბოლტისთვის,** რათა შესაძლებელი გახდეს **პარტნიორისთვის** ნაღდი ანგარიშსწორება **მიწოდების პარტნიორის** მიერ. **კლიენტსა** და **პარტნიორს** შორის გადახდის ვალდებულება **კლიენტის** მიერ თვითგატანის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს პირდაპირი გადახდით იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორს** აქვს **კლიენტის** მიერ თვითგატანის ოფცია 4.4 პუნქტის შესაბამისად.
7. **ბოლტისთვის** გადასახდელი ნებისმიერი დარჩენილი თანხა **პარტნიორმა** უნდა

გადაიხადოს **ბოლტის** შესაბამისი შეტყობინების მიღებისთანავე.

8. იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორი** ვერ განახორციელებს გადახდას 7.7 პუნქტის შესაბამისად, იგი ვალდებულია გადაიხადოს დღეში 0,5% პროცენტი მთლიანი ვადაგადაცილებული თანხიდან. პარტნიორი ვალდებულია აუნაზღაუროს ბოლტს ყველა გონივრული ხარჯი (მათ შორის, ვალების ამომღები სააგენტოს მიერ დაკისრებული) ყველა ადმინისტრაციული, იურიდიული და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია ნებისმიერი ვადაგადაცილებული გადასახადის ამოღების მიზნით. მინიმალური კომპენსაცია ასეთი ხარჯებისთვის არის 10 ევრო (ან ექვივალენტი ადგილობრივ ვალუტაში).
9. **ბოლტს** უფლება აქვს გადაუგზავნოს და გაუზიაროს **პარტნიორის** მონაცემები და ამ **ხელშეკრულებით** საფუძველზე **პარტნიორის** დავალიანების ფაქტი, ჯამი და სხვა შესაბამისი ინფორმაცია ვალების ამომღებ სააგენტოებსა და სხვა ვალების მართვის სერვისის პროვაიდერებს, ვალების ამოღებისა ან/და მოვალეთა მონაცემთა ბაზაში მონაცემების გამოქვეყნების, დამუშავებისა და მართვის მიზნით, აგრეთვე დავალიანების მონაცემების გამოქვეყნების მიზნით საკრედიტო გადაწყვეტილებების მისაღებად.

14. **ვადა, შეწყვეტა და სარგებლობის უფლების შეჩერება**

15.

1. ეს **ხელშეკრულება** იდება განუსაზღვრელი ვადით (ვადის მითითების გარეშე), თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული **პარტნიორის სპეციალურ პირობებში.**
2. თუ **პარტნიორი** არღვევს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, ნებისმიერ მოქმედ კანონს ან რეგულაციას, აკნინებს **ბოლტს** ან ზიანს აყენებს **ბოლტის** ბრენდს, რეპუტაციას ან ბიზნესს, როგორც ამას განსაზღვრავს **ბოლტი** საკუთარი შეხედულებისამებრ, ან **ბოლტს** აქვს გონივრული რწმენა თაღლითურ ქმედებებზე **პარტნიორის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენებისას, **ბოლტს** უფლება აქვს დროებით შეუჩეროს **პარტნიორს ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენება ან შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება მიუღებელი შემოსავლის ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე.
3. **პარტნიორს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **ხელშეკრულება** უმიზეზოდ, არანაკლებ 30 დღით ადრე გაფრთხილებით. **ბოლტს** უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს **პარტნიორთან ხელშეკრულება** არანაკლებ 30 დღით ადრე დასაბუთებული შეტყობინების გაგზავნით. **ბოლტი** არ არის ვალდებული აცნობოს **პარტნიორს** წინასწარ შეწყვეტის შესახებ, თუ **ბოლტი:**
4.
    1. სამართლებრივი ან მარეგულირებელი წესის თანახმად, გახდება ვალდებული შეწყვიტოს მთელი თავისი ონლაინ შუამავლობის სერვისების მიწოდება მოცემული **პარტნიორისთვის** ისე, რომ **ბოლტს** არ ეძლევა შესაძლებლობა დაიცვას შეწყვეტის შეტყობინების ვადა; ან
    2. იყენებს შეწყვეტის უფლებას იმპერატიული წესებიდან გამომდინარე ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; ან
    3. შეუძლია დაამტკიცოს, რომ აღნიშნულმა **პარტნიორმა** არაერთხელ დაარღვია წინამდებარე **ზოგადი პირობები,** რასაც შედეგად მოყვა განსახილველი ონლაინ შუამავლობის მთელი სერვისის მიწოდება.
5. **პარტნიორს** უფლება აქვს საგანგებოდ შეწყვიტოს **ხელშეკრულება** გაფრთხილების პერიოდის გარეშე, თუ **ბოლტი** არაერთხელ არ შეასრულებს ან არღვევს წინამდებარე **ზოგადი პირობებით** დადგენილ რომელიმე ვალდებულებას.
6. **ხელშეკრულების** შეწყვეტა გავლენას არ მოახდენს:
7.

1. ნებისმიერი მხარის ნებისმიერი მოქმედ უფლებაზე, მათ შორის, ნებისმიერი უფლებაზე მიიღონ ნებისმიერი ვადამოსული, მაგრამ გადაუხდელი გადასახდელი; ან
2. ვალდებულებებზე, რომელიც შეთანხმებულია, რომ ძალას ინარჩუნებს შეწყვეტის შემდგომაც.

8. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რიგგარეშე შეწყვეტის შემდეგ მიმდინარეობს ოფლაინ მარკეტინგული კამპანია, რომელშიც მონაწილეობს (მათ შორის) **პარტნიორი** ან **პარტნიორის** რომელიმე დაწესებულება, მაშინ **ბოლტი** უფლებამოსილია თავი შეიკავოს კამპანიის მასალებში **პარტნიორთან** ან **პარტნიორის** დაწესებულებებთან დაკავშირებით რაიმე ცვლილების შეტანისგან.

16. **ლიცენზირება, მონაცემთა დამუშავება და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები**

17.
1. **ბოლტი პარტნიორს** ანიჭებს გამოხმობად, არაექსკლუზიურ, არაგადაცემად, არაქველიცენზირებად ლიცენზიას, გამოიყენოს **ბოლტ ფუდის პლატფორმა საქონლის** გაყიდვისთვის და **შეკვეთების** მიწოდების სერვისის **პარტნიორის** მიერ განხორციელების შემთხვევაში, ასევე, მიწოდების სერვისებისთვის გამოყენების მიზნით.
2. **ხელშეკრულების** გაფორმებით, **პარტნიორი ბოლტს** ანიჭებს უფასო ქველიცენზირებად, არაექსკლუზიურ გლობალურ ლიცენზიას, გამოიყენოს, რეპროდუცირდეს, გაავრცელოს, შეატყობინოს, შეცვალოს, თარგმნოს, გამოაქვეყნოს ან საჯაროდ გამოაჩინოს **პარტნიორის** კონტენტი **ბოლტ ფუდის პლატფორმის** ოპერირების, პოპულარიზაციისა და გაუმჯობესებისთვის, თუ მხარეებს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული. ლიცენზია მოქმედებს მანამ, სანამ **პარტნიორის** კონტენტი დაცულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით. **პარტნიორი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ ის არის შესაბამისი ინტელექტუალური საკუთრების უფლებების მფლობელი და რომ მისი სახელი და სავაჭრო ნიშანი და ყველა მასალა, რომელიც ატვირთული იქნება **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე ბოლტის** მიერ (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება საქონლის ფოტოებით) არ არღვევს მესამე მხარის ნებისმიერ უფლებას, მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს. იმ შემთხვევებში, როდესაც **საქონლის** ფოტოები გადაღებულია **ბოლტის** ხარჯით ან **ბოლტის** მიერ დანიშნული პირის მიერ, მასთან დაკავშირებული ყველა უფლება (მათ შორის ინტელექტუალური საკუთრების უფლება და გამოყენების უფლება) ეკუთვნის **ბოლტს**. თუ **პარტნიორმა** აირჩია **საქონლის** ფოტოების გამოყენების ლიცენზიის ყიდვა, **პარტნიორს** მიენიჭება წვდომა და მას შეუძლია გამოიყენოს **საქონლის** ასეთი ფოტოები ნებისმიერი მიზნებისთვის, გარდა იმ პლატფორმების განთავსებისა, რომლებიც კონკურენციას უწევენ **ბოლტს** და იყენებენ იგივე სერვისების მიწოდებისთვის, რასაც პარტნიორი აწვდის **ბოლტს.**
3. ყველა ინტელექტუალური საკუთრების უფლება პროგრამულ უზრუნველყოფაზე, დოკუმენტაციაზე ან ინფორმაციაზე, რომელიც გამოიყენება ან შემუშავებულია **ბოლტის** მიერ ან მისი სახელით, **ზოგადი პირობების** შესაბამისად (მათ შორის **ბოლტ ფუდის პლატფორმა,** კონფიდენციალური ინფორმაცია და სადაც ეს რელევანტურია, **საქონლის** ფოტოები), ასევე **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით განხორციელებული გაყიდვების შესახებ ყველა მონაცემი და სტატისტიკა ეკუთვნის **ბოლტს. პარტნიორმა** არ უნდა დააკოპიროს, შეცვალოს, ადაპტირება მოახდინოს, შეუცვალოს ინჟინერია, მოახდინოს დანაწევრება ან სხვაგვარად აღმოაჩინოს **ბოლტ ფუდის პლატფორმის** საწყისი კოდი ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის, რომელსაც იყენებს **ბოლტი. ბოლტმა** უნდა შეინახოს მონაცემები და სტატისტიკა გაყიდვების შესახებ თითოეული საანგარიშო პერიოდისთვის აღნიშნული საანგარიშო

პერიოდის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში.

4. **პარტნიორებს** პირდაპირ ეკრძალებათ რაიმე ფორმით (მექანიკური ან ავტომატიზირებული) ჩაერთონ მონაცემთა ამოღების, მონაცემთა მოპოვების ან მონაცემების ნებისმიერი ავტომატური საშუალებებით შეგროვებაში **ბოლტ ფუდის პლატფორმიდან,** მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, კომპიუტერული ბოტების, ე.წ. ობობების, მცოცავების გამოყენებით, ან ნებისმიერი სხვა ავტომატური საშუალებით.
5. **კლიენტებისა** და **მიწოდების პარტნიორების** პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები და პირობები დადგენილია მე-2 დანართით (მონაცემთა გაზიარების ხელშეკრულება).

18. **კონფიდენციალურობა**

19.

1. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში და **ხელშეკრულების** ვადის გასვლიდან ან შეწყვეტიდან ხუთი წლის განმავლობაში, **ბოლტმა** და **პარტნიორმა** არ უნდა გაამჟღავნონ და უნდა დაიცვან მეორე მხარის ყველა კონფიდენციალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
2. მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მესამე პირების წინაშე მხოლოდ ამ მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გადაეცეთ მხარის ადვოკატებს, აუდიტორებს, ბუღალტერებს, კონსულტანტებსა და ქვეკონტრაქტორებს, იმ პირობით, რომ ასეთი პირები შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და ექვემდებარებიან კონფიდენციალურობის ვალდებულებას.

20. **ფულის გათეთრების საწინააღმდეგო წესები**

21.

1. **პარტნიორი** იძლევა გარანტიას, რომ იგი შესაბამისობაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ მოქმედ ნებისმიერ კანონისა და რეგულაციის მოთხოვნებთან, რომლებიც გამოიყენება მის მიმართ. **პარტნიორი** იძლევა გარანტიას, რომ ის არ არის და მისი რომელიმე შვილობილი ან საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი არ ექვემდებარება საერთაშორისო სანქციებს, ბოიკოტებს, საგარეო ვაჭრობის კონტროლს, ექსპორტის კონტროლს, გაუვრცელებლობის, ანტიტერორისტულ და მსგავს კანონებს, განკარგულებებს, დადგენილებებს, ბრძანებულებებს, ვალდებულებებს, წესებსა თუ მოთხოვნებს.
2. **ბოლტს** უფლება აქვს განახორციელოს **პარტნიორის** მიერ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო წესების დაცვის კონტროლი და/ან შეაჩეროს **პარტნიორის** მიერ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენება წინასწარი შეტყობინების გარეშე, თაღლითობის ან მისი ნებისმიერი სხვა დარღვევის გამოვლენის მიზნით.
3. **პარტნიორმა** დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს **ბოლტს** ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება ეხებოდეს წინამდებარე მე-11 პუნქტის დარღვევას.

22. **პასუხისმგებლობა და დაზღვევა**

23.

1. **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი **გაყიდვის ხელშეკრულების** შესრულებაზე და არც **გაყიდვის ხელშეკრულების** ფარგლებში წარმოდგენილ რაიმე პრეტენზიებზე, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების ან ნებისმიერი სხვა საქონლის გაყიდვის ან/და გადაცემის შემთხვევებით, რომლებიც ექცევა მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობის რეგულირების ქვეშ, ისეთ **კლიენტზე** გადაცემა/გაყიდვისას**,** რომელიც არის კანონით დადგენილ მინიმალურ ასაკს მიუღწეველი პირი. ასევე იმ შემთხვევაში, თუ **კლიენტი** ვერ გადაუხდის **პარტნიორს**

პარტნიორის დაწესებულებიდან გატანის შემთხვევაში.

2. **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე არაპირდაპირი ზიანისთვის ან მოგების დაკარგვისთვის, რომელიც შეიძლება მიადგეს **პარტნიორს ბოლტ ფუდის პლატფორმის** ხელმისაწვდომობის ან ფუნქციონირების შესაძლო შეფერხებების გამო ნებისმიერ მოწყობილობაში.
3. **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი არაპირდაპირი ზიანის დადგომისთვის ან მოგების დაკარგვაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით.
4. **პარტნიორი** აუნაზღაურებს და დაიცავს ბოლტს ყველა ზიანისგან, რომელიც გამომდინარეობს ყველა და ნებისმიერი პრეტენზიისგან, სარჩელისგან, ქმედებისგან ან ადმინისტრაციული წარმოებისგან, მოთხოვნისგან, დანაკარგისგან, ზიანისგან, ხარჯებისა და ნებისმიერი ხასიათის დანახარჯებისგან, მათ შორის, სამართლებრივი ხარჯებისგან, რომელიც წარმოიშობა **პარტნიორის** მიერ მომსახურების გაწევიდან **ზოგადი პირობების** შესაბამისად.
5. **პარტნიორი** აუნაზღაურებს **ბოლტის** ყველა დამატებით ხარჯს, რაც **ბოლტმა** გაიღო **პარტნიორის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო (მაგ. და არ შემოიფარგლება მხოლოდ **მიწოდების პარტნიორის** მიერ **შეკვეთის პარტნიორისთვის** დაბრუნების ხარჯებით **კლიენტისთვის** მიწოდებამდე იმ **საქონლის** დამატების მიზნით, რომელიც **პარტნიორმა** თავდაპირველად არ შეიტანა **შეკვეთაში**).
6. **პარტნიორი** პასუხისმგებელია **ბოლტის** მიერ მიწოდებული დაქირავებული მოწყობილობის დაკარგვაზე, ქურდობაზე ან რაიმე დაზიანებაზე.
7. თუ **კლიენტი** წარადგენს პრეტენზიას **გაყიდვის ხელშეკრულების** დარღვევის გამო, **პარტნიორი** ათავისუფლებს **ბოლტს** სარჩელთან დაკავშირებით ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან. იმ შემთხვევაში, თუ მიტანის მომსახურებას ახორციელებს **პარტნიორი,** იგივე ეხება ნებისმიერ პრეტენზიას **მიწოდების ხელშეკრულების** დარღვევის გამო.
8. თუ მსგავსი გათვალისწინებულია **პარტნიორის სპეციალურ პირობებში, პარტნიორი** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში მას ჰქონდეს პასუხისმგებლობის დაზღვევა **საქონელთან** დაკავშირებული ნებისმიერი პასუხისმგებლობისთვის მისი მომხმარებლების მიმართ.
9. იმ შემთხვევაში, თუ მიწოდების მომსახურებას ახორციელებს **პარტნიორი, პარტნიორი** არის მხოლოდ პასუხისმგებელი **მიწოდების ხელშეკრულების** შესრულებაზე და **მიწოდების ხელშეკრულებით** წარმოდგენილ ნებისმიერ პრეტენზიებზე. **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი **მიწოდების ხელშეკრულების** შესრულების ნებისმიერ წარუმატებლობაზე ან შეუსაბამობაზე და არ იღებს პასუხისმგებლობას **მიწოდების ხელშეკრულების** შესრულებისას წარმოშობილ საგზაო მოძრაობის დარღვევაზე ან უბედურ შემთხვევაზე.
10. **პარტნიორი** აუნაზღაურებს და დაიცავს **ბოლტს** უვნებლად და ყველა პრეტენზიებისა და ვალდებულებების, ხარჯებისა და დანახარჯებისგან (იურიდიული საკონსულტაციო და სხვა პროფესიონალებისთვის გადასახდელი გონივრული ჰონორარების ჩათვლით), რომელიც გამოწვეულია ან წარმოიქმნება (i) **პარტნიორის** სახელის, სავაჭრო ნიშნის ან ნებისმიერი სხვა მასალის (მათ შორის, საქონლის ფოტოები) ბოლტის მიერ მე-9 პუნქტის შესაბამისად გამოყენების შედეგად; ან (ii) **პარტნიორის** მიერ წინამდებარე **ხელშეკრულებაში** მოცემული ნებისმიერი განცხადების, გარანტიის, შეთანხმების ან ვალდებულების დარღვევის გამო.
11. **პარტნიორი** აღიარებს, რომ სმარტფონის ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობის დაყენება, ე.წ „ჯეილბრეიკი“ (პროგრამული შეზღუდვების მოხსნა) ან მოდიფიცირება აპარატურულ ან ოპერაციული სისტემის დონეზე ნებისმიერი ფორმით, რომელიც

ეწინააღმდეგება მწარმოებლის მითითებებს, ხდის მოწყობილობას კიბერ საფრთხეებისადმი მგრძნობიარეს. გარდა ამისა, **პარტნიორი** აღიარებს, რომ ყალბი მოწყობილობებისა და სხვა საშუალებების გამოყენება, რომლებიც ცდილობენ **ბოლტის** სისტემებთან კომუნიკაციას, დაუშვებელია. **პარტნიორი** აღიარებს, რომ **ბოლტი** არ არის პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე, რომელიც დაკავშირებულია ასეთი მოდიფიცირებული მოწყობილობის ან ყალბი მოწყობილობების და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, და რომ **ბოლტს** არ აქვს რაიმე ვალდებულება, უზურნველყოს ასეთი მოწყობილობების მხარდაჭერა.

12. **პარტნიორი** იღებს პასუხისმგებლობას **კლიენტის** მიერ გაუქმების უფლებაზე იმ ქვეყნის სავალდებულო დებულებების შესაბამისად, სადაც **კლიენტი** იმყოფება.

24. **სხვადასხვა**

25.

1. (EU) 2019/1150 რეგულაციით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები და გარანტიები გამოიყენება, როდესაც **ხელშეკრულების** შეწყვეტა ან **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** წვდომის შეჩერება გავლენას ახდენს **პარტნიორის** უფლებებზე, რომელიც იყენებს **ბოლტ ფუდის პლატფორმას საქონლის** გაყიდვისთვის ევროკავშირის ან ევროპის ეკონომიკური ზონის წევრ სახელმწიფოებში (წევრი სახელმწიფო).
2. (EU) 2022/2065 და 2019/1150 რეგულაციის მიხედვით, 13.1 ნაწილში მითითებულ **პარტნიორს** უფლება აქვს გაასაჩივროს **ბოლტის** მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე **ზოგადი პირობების** 5.10-5.13 პუნქტების შესაბამისად, **ხელშეკრულების** შეწყვეტასთან, დროებითი შეჩერებასთან და (EU) 2019/1150 რეგულაციასთან **ბოლტის** სხვა სავარაუდო შეუსაბამო მოქმედებებთან დაკავშირებით, **ბოლტის** შიდა საჩივრების განხილვის სისტემის წესების შესაბამისად, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bolt.eu/en/legal/.
3. თუ არსებობს კონფლიქტი **პარტნიორის სპეციალურ პირობებს, განსაკუთრებულ პირობებს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), **ზოგად პირობებს, დანართებს** ან სხვა დოკუმენტს შორის, რომელიც ჩართულია **ხელშეკრულებაში** მითითებით, მაშინ უპირატესობა მიენიჭება პირველ რიგში პარტნიორის **სპეციალურ პირობებს,** შემდგომ **განსაკუთრებულ პირობებს** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მესამე რიგში - **ზოგად პირობებს,** მეოთხე რიგში - **დანართებს** და მეხუთე რიგში - ნებისმიერ სხვა დოკუმენტს, რომელიც ჩართულია **ხელშეკრულებაში** მითითებით.
4. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული შეტყობინებები და სხვა კომუნიკაციები უნდა განხორციელდეს რეგისტრირებული ფოსტით, კურიერის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით, მიღების დამადასტურებელი საბუთით.
5. **ხელშეკრულების** ინგლისურ ვერსიას ენიჭება უპირატესი ძალა.
6. **ბოლტი** იტოვებს უფლებას განაახლოს **ზოგადი პირობები** ნებისმიერ დროს, განახლებული ვერსიის ატვირთვის გზით მის ვებ გვერდზე. **ბოლტი** აცნობებს **პარტნიორს** ნებისმიერი ცვლილების შესახებ მინიმუმ 30 დღით ადრე. თუ **პარტნიორი** არ ეთანხმება განახლებულ **ზოგად პირობებს,** მან ამის თაობაზე უნდა ეცნობოს **ბოლტს**, რათა შეწყდეს **ხელშეკრულება** და **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენება. თუ **პარტნიორი** წარადგენს **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** დამატებით **საქონელს** ზემოთ აღნიშნული შეტყობინების პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული მოქმედება ჩაითვლება, როგორც მკაფიო თანხმობა შეტყობინების ვადაზე უარის თქმის შესახებ.
7. **პარტნიორს** არ შეუძლია დაუთმოს სხვა პირს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული რომელიმე უფლება ან ვალდებულება მთლიანად ან ნაწილობრივ.
8. **ხელშეკრულება** რეგულირდება ესტონეთის მატერიალური კანონმდებლობით. თუ ამ **ზოგადი პირობებიდან** გამომდინარე შესაბამისი დავა ვერ მოგვარდება

მოლაპარაკებებით, მაშინ დავა საბოლოოდ გადაწყდება ჰარიუს საოლქო სასამართლოში ტალინში, ესტონეთი.

26. **განლაგება**

27.

1. ყველა **პარტნიორი მომხმარებლისთვის** ნაჩვენებია რანჟირებული განლაგებით. ბოლტ ფუდის პლატფორმაზე ძირითადი პარამეტრები გამოიყენება შემდეგი თანმიმდევრობით:
2.
    1. **პარტნიორის სერვისებით სარგებლობის სიხშირე.** თუ **კლიენტმა** ცოტა ხნის წინ განათავსა **შეკვეთა პარტნიორთან** რამდენჯერმე, მით უფრო სავარაუდოა, რომ **პარტნიორი** მიიღებს უფრო მაღალ პოზიციას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.**
    2. **მანძილი მომხმარებლისგან პარტნიორამდე.** რაც უფრო მოკლეა მანძილი **მომხმარებელსა** და **პარტნიორს** შორის, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ **პარტნიორი** მიიღებს მაღალ პოზიციას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.**
    3. **მიწოდების სავარაუდო დრო.** რაც უფრო მოკლეა **პარტნიორის შეკვეთის** მიწოდების დრო, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ **პარტნიორი** მიიღებს მაღალ პოზიციას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.**
    4. **მომხმარებლისთვის მიწოდების საფასური.** რაც უფრო იაფია მიწოდება, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ **პარტნიორი** მიიღებს მაღალ პოზიციას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.**
    5. **პარტნიორის რეიტინგი.** რაც უფრო მაღალია **პარტნიორის** რეიტინგი, მით მეტია ალბათობა იმისა, რომ **პარტნიორი** მიიღებს მაღალ პოზიციას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.**
    6. **კლიენტის წინა შეკვეთების მსგავსება. პარტნიორი,** რომელიც შესთავაზებს **კლიენტის** წინა **შეკვეთების** მსგავს **საქონელს** სავარაუდოდ, მიიღებს უფრო მაღალ პოზიციას **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.**
3. **ბოლტს** აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ, შეცვალოს გარკვეული მაღაზიების რეიტინგი, რომლებიც ყიდიან **საქონელს,** რომელიც შეიძლება არ იყოს შესაფერისი გარკვეული აუდიტორიისთვის. ეს კორექტირება შეიძლება მოიცავდეს რანჟირების დონის შემცირებას შესაბამისი ხილვადობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად **ბოლტ ფუდის პლატფორმის** წესებისა და აუდიტორიის შესაბამისობის გათვალისწინებით. გარდა ამისა, **ბოლტს** აქვს უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ შექმნას დროებითი რეიტინგები, რომლებიც შეიძლება დაფუძნებული იყოს მენიუს კამპანიების არსებობაზე ან **პარტნიორის** ახალწვეულობაზე **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე. პარტნიორის** ხილვადობა **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** შეიძლება გაიზარდოს, თუ **პარტნიორი** დაფარავს **შეკვეთის** ხარჯებს ან მიტანის საფასურს.

28. **მონაცემებზე წვდომა**

29.

1. ამ **ზოგადი პირობების** მე-2 დანართში მითითებული პერსონალური მონაცემების გარდა, **ბოლტს** აქვს წვდომა თავისი **მომხმარებლებისა** და **კლიენტების** გარკვეულ მონაცემებზე, როგორიცაა:
2.
    1. **კლიენტების შეკვეთები** და **შეკვეთების** შინაარსი;
    2. **მომხმარებლების** ვიზიტები სხვადასხვა ეკრანებზე **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე;**
    3. **მომხმარებლების** ტექსტური მოთხოვნები საძიებო ველში;

4. **კლიენტების** მიერ **პარტნიორების** შეფასებები და კომენტარები.

3. **ბოლტი** აზიარებს გარკვეულ მონაცემებს, რომლებიც გენერირებულია **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მიერ სერვისების მიწოდების ფარგლებში ან წარდგენილია **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე პარტნიორებისთვის** მომსახურების მიწოდების მიზნით. ასეთი მონაცემები მოიცავს, მაგალითად, გაყიდვების მთლიან მონაცემებს ყოველკვირეული ანგარიშების მეშვეობით და **კლიენტების** მიერ გაკეთებულ რეიტინგებს.
4. **პარტნიორს** ესმის და აცნობიერებს, რომ გაყიდვების ანგარიშების სიზუსტის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ყველა ძალისხმევისა, შეიძლება არსებობდეს შემთხვევითი შეუსაბამობები, შეცდომები ან უზუსტობები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გაყიდვების მოხსენებულ ციფრებზე. ეს შეუსაბამობები შეიძლება წარმოიშვას სხვადასხვა ფაქტორების გამო, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება ტექნიკური საკითხებით, მონაცემთა დამუშავების შეცდომით ან მონაცემთა შეგროვების შეფერხებით.

დანართი 1
მომსახურების დონის მოთხოვნები

წინამდებარე **მომსახურების დონის მოთხოვნები ხელშეკრულების** განუყოფელი ნაწილია და ვრცელდება **პარტნიორის** საქმიანობაზე **შეკვეთების** მომზადებისა და საჭიროების შემთხვევაში, **საქონლის** წარმოების მომსახურების მიწოდების მიმართ.

16. შეკვეთის მიღება

16.1 როდესაც **კლიენტი** განათავსებს **შეკვეთას, პარტნიორი** უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული **შეკვეთის** დადასტურება გადაწყდება **შეკვეთის** შეტყობინების მიღებიდან რვა წუთის განმავლობაში (თუ **ბოლტის** მიერ სხვა რამ არ არის მითითებული), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩართულია **შეკვეთის** ავტომატური მიღების ფუნქცია. ამ შემთხვევაში, ყველა **შეკვეთა** ავტომატურად მიიღება **პარტნიორის** მიერ.

16.2 იმ შემთხვევაში, თუ **პარტნიორი** ვერ უზრუნველყოფს **საქონლის** ხელმისაწვდომობას ისე, როგორც ეს იყო მოთხოვნილი **შეკვეთაში, პარტნიორი** არ დაადასტურებს **შეკვეთას ბოლტ ფუდის პლატფორმაზე.** იმ შემთხვევაში, თუ **შეკვეთა** უკვე მიღებულია **პარტნიორის** მიერ, **შეკვეთის** გაუქმების მიზნით, მან უნდა აცნობოს **ბოლტს** ამის შესახებ **ბოლტ ფუდის პლატფორმის** მეშვეობით. ასეთ შემთხვევებში **პარტნიორს** არ აქვს უფლება მოითხოვოს რაიმე გადასახადი **ზოგადი პირობების** მე-6 ნაწილის შესაბამისად და **ბოლტს** უფლება აქვს დააკისროს **პარტნიორს** მიწოდების ღირებულება.

16.3 თუ **პარტნიორს** ამოეწურა გარკვეული **საქონელი, პარტნიორი** მონიშნავს ამ **საქონელს,** როგორც მიუწვდომელს **ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** რაც შეიძლება მალე, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ **საქონლის** ნაკლებობის აღმოჩენიდან 10 წუთის განმავლობაში.

17. შეკვეთის მომზადება

17.1 **პარტნიორი** უზრუნველყოფს **საქონლის** მომზადებას, დამუშავებას და შენახვას მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნის შესაბამისად, ნებისმიერ დროს და მათ შორის **შეკვეთილი საქონლის კლიენტისთვის** მიწოდების ან უშუალოდ **კლიენტისთვის საქონლის** გადაცემის დრომდე, თვით გატანის სერვისის შემთხვევაში. **პარტნიორის** ვალდებულება, შეასრულოს ყველა მოქმედი კანონის მოთხოვნა, მოიცავს (შეზღუდვის გარეშე) ყველა წესსა და რეგულაციას, რომელიც არეგულირებს დროს, ტემპერატურას ან სხვა მეთოდებს, რომლებიც საჭიროა საკვების ჰიგიენისა და უსაფრთხოებისთვის იმ შემთხვევაში, თუ **საქონელი** შეიცავს საკვებს და უზრუნველყოფს შესაბამისობას ნებისმიერ დამატებით წესებთან, რომლებიც გამოიყენება კონტროლირებადი **საქონელის** დამუშავებისა და გაყიდვისთვის ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით.

17.2 **პარტნიორი** უზრუნველყოფს, რომ ყველა **შეკვეთა** მომზადდება წინასწარ განსაზღვრულ

ვადებში, რომელიც მითითებულია თითოეული **შეკვეთისთვის ბოლტ ფუდის პლატფორმაზე. შეკვეთა** მზად უნდა იყოს ასაღებად **მიწოდების პარტნიორის** ან **კლიენტის** მიერ არა უადრეს **საქონლის** მომზადების ვადის ბოლო 5 წუთის განმავლობაში. **კლიენტის** მიერ თვით გატანის შემთხვევაში, **პარტნიორმა** უნდა მონიშნოს **შეკვეთა**, როგორც „აღებულია“ მას შემდგომ, რაც **კლიენტი** აიღებს **შეკვეთას** და გადაიხდის საფასურს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

18. შეკვეთის მიწოდება

18.1 იმ შემთხვევაში, თუ **მიტანის მომსახურებას** ახორციელებს **პარტნიორი, პარტნიორი** აღნიშნავს შეკვეთას, როგორც „აღებულია“ მას შემდეგ, რაც **შეკვეთას** აიღებს **პარტნიორის** თანამშრომელი და/ან კონტრაქტორი მიწოდების მიზნით.

18.2 **პარტნიორის** თანამშრომლის ან/და კონტრაქტორის მიერ **შეკვეთის კლიენტისთვის** გადაცემის შემდეგ, **პარტნიორი ბოლტ ფუდის პლატფორმაზე შეკვეთას** აღნიშნავს , როგორც „მიწოდებულია“.

18.3 თუ **კლიენტი** ვერ დაიკავებს **შეკვეთას** (არ იღებს ტელეფონს, არ პასუხობს კარზე და ა.შ.), **პარტნიორის** თანამშრომელი ან/და კონტრაქტორი უნდა დაუკავშირდეს **კლიენტს ბოლტ ფუდის პლატფორმაზე** მითითებულ ტელეფონის ნომერზე სულ მცირე 3 ცალკეულ შემთხვევაში და დარჩეს შეკვეთის მიწოდების ადგილზე 5 წუთის განმავლობაში. თუ **კლიენტი** კიდევ მიუწვდომელია და არ იღებს **შეკვეთას, პარტნიორი** დაუკავშირდება **ბოლტის** მომხმარებელთა სერვისს, რათა მისცეს **ბოლტს** უფლებამოსილება გააუქმოს მიწოდება და სრულად დააკისროს **კლიენტს** მიწოდების ღირებულება, ასევე მიიღოს დამატებითი რჩევა **შეკვეთასთან** დაკავშირებით.

დანართი 2

მონაცემთა გაზიარების ხელშეკრულება

მონაცემთა გაზიარების ეს **ხელშეკრულება** („DSA“) არის **ხელშეკრულების** განუყოფელი ნაწილი და ვრცელდება ყველა ურთიერთობაზე, რომელიც ჩამოყალიბებულია **ბოლტსა** და **პარტნიორს** შორის (ცალკე, როგორც „მხარე“ და ერთობლივად, როგორც „მხარეები“) **ბოლტ ფუდის პლატფორმის** გამოყენების პროცესში და ეხება **პერსონალური მონაცემების** დამუშავებას.

1. განმარტებები

ადეკვატურობის გადაწყვეტილება	ნიშნავს ქვეყანას, ტერიტორიას ან სექტორს ქვეყნის შიგნით, რომელიც ექვემდებარება გადაწყვეტილებას, და განაგრძობს ასეთ დაქვემდებარებას ხელშეკრულების ხანგრძლივობის განმავლობაში, პერსონალური მონაცემების ადეკვატური დონით დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების შესაბამისად.
შეთანხმებული მიზანი	საშუალებას აძლევს პარტნიორს მოითხოვოს საქონლის შეკვეთები კლიენტებისგან ბოლტ ფუდის პლატფორმის მეშვეობით.
მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობა	ნიშნავს ყველა კანონსა და რეგულაციას, რომელიც გამოიყენება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე ამ ხელშეკრულებისა და და ამ DSA-ის საფუძველზე მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ: მონაცემთა დაცვის აქტი, 2012 წელი (აქტი 843), (როგორც შეიძლება დროდადრო შეიცვალოს); მონაცემთა დაცვის აქტი, 2019 და მასთან

	დაკავშირებული რეგულაციები (როგორც დროდადრო შეიძლება შეიცვალოს), მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: მონაცემთა დაცვის (შესაბამისობა და აღსრულება) რეგულაცია, 2021 წ.; მონაცემთა დაცვის (მონაცემთა კონტროლერებისა და მონაცემთა დამმუშავებლების რეგისტრაცია) რეგულაციები, 2021; და მონაცემთა დაცვის (ზოგადი) რეგულაციები, 2021; ევროკავშირის GDPR; გაერთიანებული სამეფოს GDPR; და გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის აქტი 2018 წ.
მონაცემთა მაკონტროლებელი	უნდა ჰქონდეს იგივე მნიშვნელობა, როგორც ეს შეიძლება წაკითხულ იქნას მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონების კონტექსტში. ამ DSA-ში მითითებები „მონაცემთა მაკონტროლებელი“ ურთიერთშემცვლელია ტერმინებით „მაკონტროლებელი“ და „პასუხისმგებელი მხარე“.
მონაცემთა დაცვის ორგანო	ნიშნავს დამოუკიდებელ საჯარო ორგანოს, რომელიც შექმნილია მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონის შესაბამისად. ამ DSA-ს მიზნებისათვის, ტერმინი „ზედამხედველობის ორგანო“ ურთიერთშემცვლელია ტერმინით „მონაცემთა დაცვის ორგანო“: ესტონეთისთვის ეს არის ესტონეთის მონაცემთა დაცვის ინსპექტორატი.
მონაცემთა სუბიექტი	უნდა ჰქონდეს იგივე მნიშვნელობა, როგორც შეიძლება წაკითხულ იქნას მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონების კონტექსტში.
ევროკავშირის GDPR	ნიშნავს მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციას (EU) 2016/679 წ.
ევროკავშირის სტანდარტული სახელშეკრულებო პუნქტები	ნიშნავს: (i) ევროკომისიის მიერ 2021 წლის 4 ივნისს მიღებულ სტანდარტულ საკონტრაქტო დებულებებს GDPR-ის შესაბამისად მესამე ქვეყნებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემისათვის და სადაც მასში არჩეულია „მოდული 1: გადაცემა მაკონტროლებლიდან მაკონტროლებელზე“ და გამოიყენება შესაბამის შემთხვევაში; ან (ii) სხვა სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები, რომლებიც დამტკიცებულია ევრო კომისიის მიერ მაკონტროლებლისგან მაკონტროლებლისთვის პერსონალური მონაცემების მესამე ქვეყანაში გადაცემის შესახებ, რომელსაც არ მიუღია ადეკვატურობის გადაწყვეტილება (და შესაბამისად ჩართულია ამ DSA-ში).

პერსონალური მონაცემები	უნდა ჰქონდეს იგივე მნიშვნელობა, როგორც შეიძლება წაკითხულ იქნას მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის კონტექსტში.
პერსონალური მონაცემების დარღვევა	უნდა ჰქონდეს იგივე მნიშვნელობა, როგორც შეიძლება წაკითხულ იქნას მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის კონტექსტში.
დამუშავება/დამუშავება	უნდა ჰქონდეს იგივე მნიშვნელობა, როგორც შეიძლება წაკითხულ იქნას მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის კონტექსტში.
შეზღუდული გადაცემა	ნიშნავს პერსონალური მონაცემების გადაცემას ქვეყანაში, ტერიტორიაზე ან კონკრეტულ სექტორში ქვეყნის შიგნით, რომელიც: (i) არ ექვემდებარება ადეკვატურობის გადაწყვეტილებას; ან (ii) არ ექვემდებარება რაიმე გადახრებს, რომლებიც დაუშვებს პერსონალური მონაცემების გადაცემას ამ ქვეყანაში, ტერიტორიაზე ან სექტორში მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონების შესაბამისად (როგორც ეს ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა გადაცემაზე).
გაზიარებული პერსონალური მონაცემები	მხარეებს შორის გაზიარებული პერსონალური მონაცემები, როგორც ეს მითითებულია მე-3 პუნქტში.
სენსიტიური/სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემები	უნდა ჰქონდეს იგივე მნიშვნელობა, როგორც წაკითხული მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონების კონტექსტში.
გაერთიანებული სამეფოს მიერ დამტკიცებული დამატება	ნიშნავს შაბლონურ დამატებას, რომელიც გაცემულია გაერთიანებული სამეფოს ინფორმაციის კომისრის ოფისის მიერ და წარდგენილია გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის წინაშე 2018 წლის 2 თებერვალს, გაერთიანებული სამეფოს მონაცემთა დაცვის აქტის 119A ნაწილის შესაბამისად, როგორც ის დროდადრო გადაიხედება სავალდებულო პუნქტების მე-18 ნაწილის მიხედვით. თუ შაბლონის დამატება მითითებულია ამ განმარტებაში, ეს ნიშნავს დოკუმენტს სახელწოდებით: მონაცემთა საერთაშორისო გადაცემის დამატება ევროკავშირის კომისიის სტანდარტულ ხელშეკრულებაზე, ვერსია B1.0, ძალაშია 2022 წლის 21 მარტს.
გაერთიანებული სამეფოს GDPR	ნიშნავს ევროკავშირის GDPR-ს, რამდენადაც ის წარმოადგენს ინგლისისა და უელსის, შოტლანდიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის კანონების ნაწილს ევროკავშირის 2018 წლის კანონის მე-3 ნაწილის (გასვლის) ძალით და როგორც შესწორებულია მონაცემთა დაცვის,

	კონფიდენციალურობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ (შესწორებები და ა.შ.) (EU Exit) 2019 და 2020 რეგულაციების შესაბამისად და გაერთიანებულ სამეფოში დროდადრო მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შემდგომში ცვლის ან ანაცვლებს გაერთიანებული სამეფოს GDPR-ს.

1.
2. **მხარეთა მიზანი და როლი**
3.
    1. ეს DSA მიზნად ისახავს პერსონალური მონაცემების მხარეებს შორის გაზიარების შესახებ მონაცემთა დაცვის მოქმედ კანონებთან შესაბამისობის დოკუმენტირებას. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედ კანონებთან შესაბამისობა ამ DSA-ს ფარგლებში გაზიარებული პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.
    2. მხარეები ითვლებიან ცალკეულ და დამოუკიდებელ მონაცემთა მაკონტროლებლებად წინამდებარე DSA-ს ფარგლებში გაზიარებული პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. მხარეები თანხმდებიან და აღიარებენ, რომ ამ DSA-ს დებულებებთან შესაბამისობის გათვალისწინებით, თითოეულ მხარეს შეუძლია განსაზღვროს მისი კონტროლის ქვეშ მყოფი საერთო პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანი და საშუალებები მისი კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების შესაბამისად.
    3. მხარეთა DPO-ები იმოქმედებენ როგორც ერთიანი საკონტაქტო პირები ("SpoC"), რომელიც ერთად იმუშავებს ნებისმიერი საკითხის გადასაჭრელად და მხარეთა მონაცემთა გაზიარების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.
    4. ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა ფორმალური შეტყობინება, რომელიც მიეწოდება მხარეს ამ DSA-ს ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით, უნდა იყოს წერილობითი, მიმართული SPoC-ებისთვის და SPoC-ს უნდა გაეგზავნოს ელექტრონული ფოსტით. ბოლტის შესაბამისი ელფოსტა არის privacy@bolt.eu.
4. **გაზიარებული პერსონალური მონაცემები**
5.
    1. პერსონალური მონაცემების სახეები, რომლებიც გაზიარებული იქნება მხარეებს შორის:
    2.
        1. კლიენტებისა და მიწოდების პარტნიორების შესახებ გამჟღავნებული პერსონალური მონაცემები:

-
    -
        -
            - კლიენტისა და მიწოდების პარტნიორის სახელი და გვარის პირველი ასო
            - კლიენტისა და მიწოდების პარტნიორის ტელეფონის ნომერი
            - შეკვეთა და კლიენტის შეკვეთის ფასი
            - კლიენტის მიერ დატოვებული უკუკავშირი ბოლტ ფუდის პლატფორმაზე პარტნიორთან მიმართებაში
            - ნებისმიერი სხვა შენიშვნა კლიენტის მიერ შეკვეთასთან დაკავშირებით ბოლტ ფუდის პლატფორმის მეშვეობით.

3.1.2 მონაცემთა ექსპორტიორი: Bolt Operations OÜ

3.1.3 მონაცემთა იმპორტიორი: პარტნიორი
3.2 სენსიტიური/სპეციალური კატეგორიის პერსონალური მონაცემები შეიძლება გაზიარებული იყოს მხარეებს შორის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას.
3.3 მხარეები თანხმდებიან, სადაც ეს შესაძლებელია, განახორციელონ პროპორციული შემოწმება, რათა უზრუნველყონ გაზიარებული პერსონალური მონაცემების სიზუსტე და მათი სწორი ინკორპორაცია სხვადასხვა სისტემებში.
4. მონაცემთა იმპორტიორის ვალდებულებები
4.1 როდესაც მხარე მოქმედებს როგორც მონაცემთა მაკონტროლებელი, რომელიც იღებს საერთო პერსონალურ მონაცემებს ("მონაცემთა იმპორტიორი") მეორე მხარისგან ("მონაცემთა ექსპორტიორი"), როგორც ეს მითითებულია პუნქტში 3, მონაცემთა იმპორტიორი ვალდებულია:
4.1.1 მოახდინოს მხოლოდ გაზიარებული პერსონალური მონაცემების დამუშავება მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონების შესაბამისად და შეთანხმებული მიზნებისთვის;
4.1.2 განახორციელოს ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები გაზიარებული პერსონალური მონაცემებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ პირები, რომლებსაც ის უფლებას ანიჭებს დაამუშავონ გაზიარებული პერსონალური მონაცემები, ასრულებენ კონფიდენციალურობის ვალდებულებას ან ექვემდებარებიან შესაბამის ნორმატიულ ვალდებულებას კონფიდენციალურობის შესახებ;
4.1.3 შეასრულოს მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედ კანონებში მოცემული შესაბამისი ვალდებულებები, რომლებიც ეხება მონაცემთა დამუშავების პრინციპებს, შეტყობინების მოთხოვნებს და მონაცემთა სუბიექტის უფლებებთან შესაბამისობას პერსონალური მონაცემების ყველა დამუშავებასთან დაკავშირებით, რომელზეც ვრცელდება მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონები;
4.1.4 უზრუნველყოს სათანადო შეტყობინება მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი მასშტაბით, კერძოდ, მაგრამ არ შემოიფარგლება ვალდებულებით, აცნობოს მეორე მხარეს დამუშავების შესწორების, წაშლის ან შეზღუდვის შესახებ;
4.1.5 გაზიარებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით პერსონალური მონაცემების დარღვევის შემთხვევაში, უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები პერსონალური მონაცემების დარღვევის აღმოსაფხვრელად, მათ შორის ზომები მისი შესაძლო გვერდითი ეფექტების შესამცირებლად და თუ პერსონალური მონაცემების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები, მონაცემთა იმპორტიორი პერსონალური მონაცემების დარღვევის აღმოჩენიდან არაუგვიანეს ორმოცდარვა (48) საათისა დაუყონებლივ შეატყობინებს მეორე მხარეს და საჭიროების შემთხვევაში, მეორე მხარის თანამშრომლობით, გადაწყვეტს, არის თუ არა საჭირო პერსონალური მონაცემების დარღვევის შესახებ შეტყობინების გაკეთება მონაცემთა დაცვის ნებისმიერი შესაბამისი ორგანოს ან მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის მიმართ. მონაცემთა იმპორტიორმა უნდა დააფიქსიროს პერსონალური მონაცემების დარღვევასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ფაქტი, მათ შორის მისი შედეგები და განხორციელებული ნებისმიერი გამოსასწორებელი ქმედება. სადაც მონაცემთა იმპორტიორი არის ბოლტის ბიზნეს მომხმარებელი, ელფოსტის მისამართი პერსონალური მონაცემების დარღვევის ბოლტისთვის გასაგზავნად არის privacy@bolt.eu;
4.1.6 თუ მოქმედი კანონმდებლობით სხვა რამ არ არის ნებადართული, შეინარჩუნოს კონფიდენციალურობა და უზრუნველყოს მისი თანამშრომლების მხრიდან კონფიდენციალურობის დაცვა მეორე მხარისგან მიღებული ყველა გაზიარებული პერსონალური მონაცემების შესახებ;
4.1.7 უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს მისი უფლებამოსილებით, მათ შორის დამმუშავებლის ჩათვლით, არ ამუშავებს საერთო პერსონალურ მონაცემებს, გარდა მონაცემთა იმპორტიორის მითითებებისა; და
4.1.8 არ შეინახოს ან დაამუშავოს საერთო პერსონალური მონაცემები იმაზე მეტ ხანს, ვიდრე ეს აუცილებელია შეთანხმებული მიზნების განსახორციელებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც

ამას ითხოვს მოქმედი კანონმდებლობა (ამ შემთხვევაში, მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ასეთი მოთხოვნის შესახებ).

5. პირდაპირი მარკეტინგი

5.1 თუ მხარე ამუშავებს გაზიარებულ პერსონალურ მონაცემებს პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, ეს მხარე უზრუნველყოფს, რომ:

5.1.1 მოქმედებს ეფექტური პროცედურები და კომუნიკაციები, რომლებიც საშუალებას მისცემს მონაცემთა სუბიექტებს გამოიყენონ პირდაპირი მარკეტინგისგან უარის თქმის უფლება;

5.1.2 მოქმედებს ეფექტური პროცედურები, რათა ამ მხარემ შეძლოს აცნობოს მეორე მხარეს ნებისმიერი უარის თქმის შესახებ, რომელიც ეხება ამ მეორე მხარეს; და

5.1.3 არსებობს დადასტურებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი (და, საჭიროების შემთხვევაში, მტკიცებულებით დადასტურებული), რომ გაზიარებული პერსონალური მონაცემების გამოყენება შესაძლებელია პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის.

6. უსაფრთხოება და ტრენინგი

6.1 თითოეული მხარე გასცემს და მიიღებს გაზიარებულ პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ უსაფრთხო მეთოდების გამოყენებით, ერთობლივი ან საზიარო IT სისტემების ხელმისაწვდომობის, მონაცემთა გადაცემის ხელშემწყობი ტექნოლოგიის, მონაცემთა დაკარგვის ან დარღვევის რისკისა და ასეთი ზომების განხორციელების ღირებულების გათვალისწინებით.

7. პერსონალური მონაცემების საერთაშორისო გადაცემა

7.1 იმდენად, რამდენადაც განხორციელდება საერთო პერსონალური მონაცემების ნებისმიერი შეზღუდული გადაცემა ბოლტ ბიზნეს მომხმარებელსა და ბოლტს შორის, მხარეები უზრუნველყოფენ, რომ იგი შეესაბამება მონაცემთა დაცვის მოქმედ კანონებს ასეთი გადაცემის განხორციელებისას.

7.2 მხარეები განახორციელებენ მხოლოდ გაზიარებული პერსონალური მონაცემების შეზღუდულ გადაცემას სხვა მესამე მხარეებზე (შემდგომი გადარიცხვები) მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონების შესაბამისად.

8. DSA-ს შეწყვეტა

8.1 თუ ორივე მხარემ ერთხმად მოისურვა DSA-ს შეწყვეტა, DSA-ს შეწყვეტამდე საჭიროა ჩატარდეს და დასრულდეს პროცესი, რომელიც დაადგენს საერთო პერსონალური მონაცემების მომავალ მფლობელობას და დაადასტურებს, საჭიროების შემთხვევაში, ორივე მხარის უფლებებს ამ მონაცემების გამოყენებაზე.

9. სხვადასხვა

მონაცემთა სუბიექტის ან მონაცემთა დაცვის ორგანოს მიერ წამოწყებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ რომელიმე მხარის ან ყველა მხარის წინააღმდეგ დავის ან პრეტენზიის შემთხვევაში, მხარეები აუცილებლობისას აცნობებენ ერთმანეთს დავის ან პრეტენზიის შესახებ და ითანამშრომლებენ დავის ან პრეტენზიის დროულად მოგვარების მიზნით.

9.1 ბოლტის ბიზნეს კლიენტი, DSA-ის მოქმედების ვადაში და მის შემდეგ, ყოველთვის დაიცავს, გაათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან და აუნაზღაურებს ბოლტს მოთხოვნისთანავე (საკუთარი ხარჯით) ნებისმიერ პრეტენზიასთან, ზარალთან, ზიანთან, ხარჯთან ან სხვა ვალდებულებებთან (მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება იურიდიული ხარჯებთან) დაკავშირებით, რომლებიც ბოლტმა მოითხოვა ან რომლებიც წარმოიშვა და/ან დაკავშირებული იყო:

9.1.1 ბოლტის ბიზნეს კლიენტის, მისი თანამშრომლების, ქვეკონტრაქტორების ან აგენტების მიერ ნებისმიერ შეუსრულებლობასთან, რომელიც უკავშირდება: (i) ამ DSA-ით გათვალისწინებულ ბოლტის ბიზნეს კლიენტის რომელიმე ვალდებულებას; (ii) ბოლტის ბიზნეს კლიენტის მონაცემთა დაცვის ნებისმიერ ვალდებულებას ხელშეკრულებაში; და/ან (iii) მონაცემთა დაცვის შესახებ ნებისმიერ მოქმედ კანონს; და

9.1.2 ნებისმიერ პერსონალურ მონაცემების დარღვევასთან, რომელიც განიცადა ბოლტის ბიზნეს კლიენტმა ან გამოიწვია ბოლტის ბიზნეს კლიენტმა პირდაპირ თუ ირიბად.

9.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის

დებულებების ნებისმიერი შეზღუდვა არ გავრცელდება ამ მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ანაზღაურების გარანტიაზე.
9.3 თუ ამ DSA-ის რომელიმე დებულება გამოცხადდა ძალადაკარგულად, უკანონოდ ან არააღსრულებადად კომპეტენტური ორგანოს ან სასამართლოს მიერ, მაშინ ამ DSA-ის დარჩენილი ნაწილი ძალაში რჩება. ეს DSA რეგულირდება და განიმარტება ხელშეკრულების მარეგულირებელი კანონების შესაბამისად, და ნებისმიერი დავა გადაწყდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავების გადაწყვეტაზე შეთანხმებული სასამართლოების მიერ.

დანართი 3
ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომები
წინამდებარე აღწერა წარმოადგენს **პარტნიორის** მიერ განსახორციელებელი ტექნიკური, ორგანიზაციული და უსაფრთხოების ზომების მინიმალური დონის შესახებ მიმოხილვას.

1. **შესვლის კონტროლი**

სამეწარმეო სივრცე მუშაობის საათებში დაცულია ციფრული კლავიატურის საკეტით. მხოლოდ უფლებამოსილ პირებს აქვთ წვდომა პინ კოდზე, რომელიც იცვლება ყოველ სამ თვეში ერთხელ.
1.1 სამუშაო საათების შემდგომ, სამეწარმეო სივრცე დაკეტილი და დაცულია მონიტორინგის სიგნალიზაციის სისტემით. შესვლა შეუძლია მხოლოდ დარეგისტრირებულ გასაღების მფლობელს, ხოლო სიგნალიზაციის გამორთვა შეუძლიათ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს. ყველა ვიზიტორი უნდა დარეგისტრირდეს მიღებაზე და შესვლა ნებადართულია მხოლოდ შესაბამისი მიზეზის არსებობისას.
1.2 ზემოთ მოყვანილის გარდა, მოძრაობაზე რეაგირებადი ვიდეოკამერა აფიქსირებს შენობაში შესვლის ყველა შემთხვევას.
2. სისტემის წვდომის კონტროლი
2.1 დისტანციური წვდომა მონაცემთა დამუშავების სისტემებზე შესაძლებელია მხოლოდ **ბოლტის ბიზნეს მომხმარებლის** უსაფრთხო VPN საშუალებით.
2.2 დამატებითი ტექნიკური დაცვის საშუალებები მოიცავს ფაიერვოლებსა და პროქსი სერვერებს, ასევე უახლეს დაშიფვრის ტექნოლოგიას, რომელიც გამოიყენება შესაბამისი საჭიროების შემთხვევაში, რისკისა და მონაცემთა დაცვის გავლენის შეფასების საფუძველზე დაცვის მიზნის მისაღწევად.
3. მონაცემთა წვდომის კონტროლი
3.1 სისტემებსა და აპლიკაციებში კონკრეტული ამოცანის შესრულებისთვის საჭირო მონაცემებზე წვდომა უზრუნველყოფილია შესაბამისი როლისა და ავტორიზაციის კონცეფციით. „მინიმალური პრივილეგიის“ და „ცოდნის საჭიროების“ პრინციპებთან შესაბამისად, თითოეულ როლს აქვს მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც საჭიროა ინდივიდუალური პირის მიერ შესასრულებელი ამოცანისთვის.
3.2 მონაცემებზე წვდომის კონტროლის შესანარჩუნებლად, თანამედროვე დაშიფვრის ტექნოლოგია გამოიყენება პერსონალური მონაცემებისთვის, სადაც საჭიროდ ითვლება მგრძნობიარე მონაცემების დაცვა რისკის საფუძველზე.
4.გადაცემის კონტროლი
4.1 გადაცემის კონტროლის მიზნით, გამოიყენება დაშიფვრის ტექნოლოგია (მაგალითად, დისტანციური წვდომა **ბოლტის ბიზნეს მომხმარებლის** ქსელზე ორფაქტორიანი VPN გვირაბისა და სრული დისკის დაშიფვრის საშუალებით). დაშიფვრის ტექნოლოგიის შესაბამისობა ფასდება მისი დაცვის მიზნის შესაბამისად.
5. მონაცემთა შეყვანის კონტროლი
5.1 სისტემაში შეყვანილი მონაცემები ინახება ჩანაწერების (ლოგ ფაილების) სახით, შესაბამისად შესაძლებელია შემდგომში მათი გადახედვა, რათა დადგინდეს, თუ ვინ შეიყვანა, შეცვალა ან წაშალა პერსონალური მონაცემები.
6. მონაცემთა დამუშავების კონტროლი

6.1 მონაცემთა დამუშავების კონტროლის დეტალები გაწერილია **ხელშეკრულებასა** და DSA-ში.

7. ხელმისაწვდომობის კონტროლი

7.1 მონაცემები ინახება ისეთ ფორმაში, რაც გონივრულად შეამცირებს სერვისის წყვეტის ალბათობას.

7.2 თუ პერსონალური მონაცემები აღარ არის საჭირო იმ მიზნებისთვის, რისთვისაც ის მუშავდებოდა, მონაცემები დაუყოვნებლივ იშლება. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემების ყოველი წაშლისას, პირადი მონაცემები თავდაპირველად ბლოკირდება და შემდეგ საბოლოოდ იშლება გარკვეული დაგვიანებით. ეს პროცესი განხორციელებულია შემთხვევითი წაშლის ან შესაძლო განზრახ დაზიანების თავიდან ასაცილებლად.